გაზეთი ბევრია, „ვერსია“ ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№48 (1074) 4 - 5 მაისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

რა კითხვებზე მოუწევს პასუხის გაცემა ბუბა კუდავას

გვ. 7

კახა კალაძის დაფუძნებული „პროგრეს ბანკი“ იყიდება?!

გვ. 5

დეცადები ორ კვირაში გაირკვევა

„ოცნების“ მაჟორიტარებისა და ოპოზიციის ფარული გარიგება

ჯონდი ბაღათურია: „ოქრიაშვილს კი არა, ცყემადაძესაც შევხვდი, ვოლსკისაც და კობახიძესაც“

გვ. 3

დააბრალე ის, რაშიც დამნაშავე ხარ — ყველაზე ეფექტური მეთოდი დღეს ნაცმოძრაობისთვის!

გვ. 2

ვინ არის „ბიზნესმენი“ გოძიაშვილი

რა კავშირი აქვს ირაკლი ღლონტს კარალიოკის ბიზნესთან

რაზე ელაპარაკა მიშა უცნობი ფაქტები რეფორმატორების ლიდერის ცხოვრებიდან

არა-ჩვეულებრივი ინტერვიუ

გვ. 4

თემო მურვანიძე: „ზოგს თანამდებობა კაბინეტში ჯდომა და ჯიპით სიარული ჰგონია!“

სახელმწიფო ქონების განიავების სკანდალური ფაქტები ხადურის უწყებაში

4 მილიონამდე ლარის გაჩუქებული ავტომობილები და მობილურები — რა მასალები დევს მომსახურების სააგენტოზე პროკურატურაში და დაიჭერენ თუ არა სააგენტოს ყოფილ გენდირექტორებს

გვ. 6

საჯარო მმართველობის სპეციალისტის განმარტებები

გვ. 8

„შპრიცების პროვოკაცია“ რუსთავის №17 ზონაზე

გვ. 9

პენიტენციალური დღიური

შსს-ს წარმომადგენლებმა თბილისის №60 საჯარო სკოლაში შეხვედრა გამართეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ინიციატივითა და ორგანიზებით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით, საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროექტის „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ ფარგლებში, თბილისის №60 საჯარო სკოლაში უფროსკლასელებთან შეხვედრა ჩატარდა.

შეხვედრას ესწრებოდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის მთავარი სამმართველოს უფროსი მამუკა ჭელიძე, კიბერდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს ტექნოლოგიების, კვლევისა და დანერგვის განყოფილების უფროსი ივანე კაციტაძე და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე ეკა კენჭაძე. შეხვედრის მიზანი იყო მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მოზარდების სამოქალაქო ცნობიერების განვითარების ხელშეწყობით, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია.

შსს-ს წარმომადგენლები მოსწავლეებს ესაუბრნენ ორგანიზებული დანაშაულის ფორმებზე, როგორიცაა: ქურდული სამყაროს წევრობა, ტრეფიკინგი, კიბერდანაშაული და მისი პრევენცია. შეხვედრაზე მოზარდებმა მონაწილეობა მიიღეს როლურ თამაშში, რომლის თემა იყო დანაშაულის გამოძიება. შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. შსს-ს წარმომადგენლებმა მოზარდების კითხვებს ამომწურავად უპასუხეს.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მიმდინარე წლის 1 მაისიდან დაიწყო საინფორმაციო-საგანმანათლებლო კამპანია, რომლის მიზანიცაა საზოგადოების ინფორმირებულობა სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის ფორმების და კანონით გათვალისწინებული, მოქალაქეების უფლების შესახებ, არასრულწლოვანთა შორის დანაშაულის პრევენცია, მართლწესრიგისა და უსაფრთხოების საკითხებზე მათი სამოქალაქო ცნობიერების განვითარების ხელშეწყობით.

კამპანიის ფარგლებში, საინფორმაციო-საგანმანათლებლო პროგრამა „მართლწესრიგის უზრუნველყოფისა და დანაშაულის პრევენციის პროგრამა საჯარო სკოლებისთვის“ განხორციელდება როგორც დედაქალაქის, ისე რეგიონების საჯარო სკოლებში, მათ შორის, არაქართულენოვან სკოლებში. უფროსკლასელთათვის ექსკურსიები მოეწყობა შს სამინისტროს სხვადასხვა დანაყოფში, კერძოდ მომსახურების სააგენტოში, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოში, სასაზღვრო პოლიციაში, გადაუდებელი დახმარების ოპერატიული მართვის ცენტრ „112“-ში, საექსპერტო-კრიმინალისტიკურ მთავარ სამმართველოში, სპეციალური და საგანგებო ღონისძიებების ცენტრში, შსს-ს აკადემიაში. სკოლებში შეხვედრებს გამართავენ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები. შეხვედრების თემა იქნება საგზაო უსაფრთხოების საკითხები და ორგანიზებული დანაშაულის ფორმები.

სამართალდამცავებმა ყაჩაღობის ფაქტი ცხელ კვალზე გახსნეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს ვაკე-საბურთალოს სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1983 წელს დაბადებული ვარლამ მ. ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულმა ბრალდებულმა ჭავჭავაძის გამზირზე მდებარე „პროკრედიტ ბანკი“ დააყაჩაღა, საიდანაც 15 000 ლარი, 9 000 აშშ დოლარი და 5 000 ევრო გაიტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. სამართალდამცველებმა დანაშაულში ბრალდებული პირი მომხდარიდან რამდენიმე საათში მის საცხოვრებელ ბინაში დააკავეს. ამოღებულია ყაჩაღობის შედეგად დაუფლებული თანხა.

გამოძიება ყაჩაღობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით).

„ვერსიანიუსი“

დააბრალე ის, რაშიც დამნაშავე ხარ — ყველაზე ეფექტური მეთოდი დღეს ნაციონალური მოძრაობისთვის!

ვინ არის „ბიზნესმენი“ გოძიაშვილი

გიორგი გიორგაძე

დააბრალე ის, რაშიც დამნაშავე ხარ — ყველაზე ეფექტური მეთოდი დღეს ნაციონალური მოძრაობისთვის! მათი მხრიდან ბიზნესზე ზეწოლის ბრალდებები ერთადერთ მიზანს ემსახურება — თავდაცვას! დააბრალე აბსურდი სხვას, განსაკუთრებით დააბრალე ის, რაშიც დამნაშავე ხარ და შესაძლოა, გადარჩე.

ბოლო რამდენიმე დღეა, ნაციონალური მოძრაობის წევრები ხმამაღლა გაჰყვირიან, რომ ბიზნესზე ზეწოლა ხორციელდება. უფრო კონკრეტულად კი, ისინი იმ ფარულ ჩანაწერს იშველიებენ, რომელიც ბიზნესმენმა ვახო გოძიაშვილმა ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ში მიიტანა. ჩანაწერში გოძიაშვილს ბიზნესმობუდსმენი გიორგი გახარია ესაუბრება და ურჩევს, რომ დროა, გოძიაშვილმა ჩაიჩოჩოს და მუშაობის შესაძლებლობა სხვებსაც მისცეს. გაითვალისწინეთ: გახარია იმას კი არ ამბობს, გაქრი და ყველაფერი დათმეო, რასაც ნაციონალები და თავად გოძიაშვილი ამტკიცებენ, არამედ იმას, რომ გოძიაშვილმა მონოპოლია და ექსკლუზივი უნდა დათმოს, რომელიც როგორ ჰქონდა მოპოვებული, ამას მკითხველი თავად დაასკვნის.

„მეუბნებიან, რომ ყველაფერი უნდა დავთმო, რასაც არ გავაკეთებ. ეს არის ბიზნესზე პირდაპირი ზეწოლა“, — ამბობს გოძიაშვილი.

„არ შეიძლება, რომ იყოს ერთი და მეტი არავინ. თავად ამოირჩიე, კიდევ ვინ უნდა იყოს შენს გარდა და მორჩა“, — ეს კი გახარიას სიტყვებია, რომელიც ჩანაწერში ისმის.

რა გამოდის? — ბიზნესმობუდსმენი პირდაპირ ამბობს, რომ მონოპოლია არ შეიძლება, ამბობს, რომ გოძიაშვილი ბიზნესში უნდა დარჩეს, მაგრამ უნდა დარჩეს სხვებთან ერთად. როცა ვინმეს ჩაჩოჩება უნდოდათ, როგორ ექცეოდნენ ბიზნესმენებს წინა ხელისუფლების პირობებში, ყველაზე უკეთ სწორედ ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა იციან. სატელეფონო ზარი და შეთანხმება კი არა, გლდანის ციხის ჯოჯოხეთი და ყველაფრის წართმევა გარანტირებული იყო და ესეც იმ შემთხვევაში, თუ ბიზნესმენის ცოცხლად დატოვება სურდათ. და ახლა, როცა ცივილურად ხდება პრობლემების მოგვარება, ცარიელ ჭიქაში ქარიშხლის დატრიალების მცდელობის აზრი არ ჩანს, თუმცა მეორეს მხრივ, საინტერესოა უშუალოდ გოძიაშვილის პერსონა...

ნაციონალების ზეობის პერიოდში, გოძიაშვილი რამდენჯერმე ჩავარდა სამართალდამცავთა ხელში. ორჯერ საქმე ნარკოდანაშაულთან გვქონდა, ბოლოს კი ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს. მიზეზი მარტივია — გოძიაშვილის შვილის ნათლია ექსპრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილია და მისი ხელშეუხებლობაც სწორედ მისი დამსახურება იყო, თუმცა ბოლოს, ისიც „გადააგდეს“.

დღეს გოძიაშვილს ჭიათურმანგანუმში ექსკლუზივის დათმობა არ სურს. სავარაუდოდ, სწორედ გოძიაშვილია ერთ-ერთი დამფინანსებელი ნაციონალური მოძრაობის იმ არასამთავრობო ორგანიზაციებისა, რომლებიც კვირაში რამდენჯერმე აქციებს აწყობენ და ცდილობენ, ქვეყანაში არსებული ვითარება სხვაგვარად წარმოაჩინონ და მუქ ფერებში დახატონ.

რეალურად, გოძიაშვილის დარი ბიზნესმენი მმართველ გუნდთან რომ ასოცირდებოდეს, ნაციონალური მოძრაობის ლიდერები ყოველდღიურ რეჟიმში შეგვახსენებდნენ, რომ ბიზნესი კრიმინალის ხელშია და სამჯერ ნასამართლევ ადამიანს სერიოზული ბერკეტები აქვს. გოძიაშვილზე კი ეს არ ვრცელდება, რადგან მისი შვილის ნათლია ნაცმოს ნათლია, მიხეილ სააკაშვილია.

სქემა მარტივია: დააბრალე სხვას ის, რაშიც დამნაშავე ხარ. წინა კვირას „მაესტროს“ ეთერში ბიზნესმობუდსმენი, როგორც ჩანს, ვერც წარმოიდგენდა, რომ მისთვის ძალიან „ნათელი და უპრობლემო“ საქმე, რომელში ჩარევამაც სიტუაციის გაჯანსაღება და რეგიონში ბიუჯეტის ზრდა გამოიწვია, 3-ჯერ ნასამართლევი გოძიაშვილის მხრიდან ისევ სპეკულაციის საგანი გახდებოდა. უცნაურია, რომ გოძიაშვილი, მიუხედავად თავისი კრიმინალური წარსულისა, ბედავს ამ თემაზე საჯაროდ საუბარს, მაგრამ სავარაუდოდ, მასზეც არსებობს ის, რითიც მართავენ.

ჩვენ კომენტარის გაკეთება ვთხოვეთ ბიზნესმობუდსმენს, თუმცა მან უარი განაცხადა. ამიტომ ვიყენებთ მისი განცხადებიდან ამონარიდს: **„შპს „ემ ენ ჯორჯია“, სხვადასხვა სახის სპეკულაციებით, მათ შორის, მაღალ თანამდებობის პირებთან ახლო კონტაქტების არსებობაზე აპელირებით, მათთან ექსკლუზიური ხელშეკრულების მოპოვებას ცდილობდა. ბიზნესმობუდსმენმა კომპანიის წარმომადგენლებს განუმარტა, რომ გამორიცხული იყო სახელმწიფოს რომელიმე თანამდებობის პირის მიერ კომპანიის საქმიანობაში რაიმე ფორმით ჩარევა და ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით მათ შეეძლოთ მიეღოთ ისეთი გადაწყვეტილება, როგორსაც კომპანიის ინტერესები მოითხოვდა. რაც შეეხება მხარეთა შორის ურთიერთობას, იგი კომერციული ურთიერთობაა და სადავო საკითხები უნდა გადაწყვეტილიყო კანონმდებლობის შესაბამისად. სწორედ აღნიშნულის შედეგია, რომ დღეს ამ სამუშაოებს 3 კომპანია ასრულებს და არა ერთი — ექსკლუზიურად“.**

და ბოლოს, სავარაუდოდ, დღევანდელ ხელისუფლებას აღარ აქვს რესურსი, გოძიაშვილისნაირ კრიმინალებს კომერციული კომპანიის ინტერესების გათვალისწინებით ესაუბროს. არ დაარტყამ შენ და დაგარტყამენ და იმართლე თავი, რომ ჟირაფი არ ხარ!

ვერსიანიუსი

თინა ხიდაშელი: „მინდია ჯანელიძე ისევ გუნდის წევრია და მთავრობაშია“

„კითხვა, რატომ დატოვა მინდია ჯანელიძემ თავდაცვის მინისტრის თანამდებობა, ჩემთვის აქტუალური არ არის, რადგან ის არსად წასულა“, — ამის შესახებ ჟურნალისტებს თავდაცვის მინისტრის პოსტზე წარდგენილმა თინა ხიდაშელმა განუცხადა, რითაც მისი წინამორბედის გათავისუფლების მიზეზებთან დაკავშირებით დასმულ შეკითხვას უპასუხა.

როგორც ხიდაშელმა განმარტა, ჯანელიძე ისევ გუნდის წევრია.

„ეს კითხვა საინტერესო იქნებოდა იმ შემთხვევაში, მინდია ჯანელიძე სახლში რომ გაეშვათ, მაგრამ ის არის ძალიან მნიშვნელოვანი საბჭოს ხელმძღვანელი – მინდია ჯანელიძე დაბრუნდა თავის თანამდებობაზე და იმავე სეგმენტს ზუსტად ისევე კურირებს, როგორც ეს იყო მანამდე. ამიტომ მე არ ვთვლი, რომ ის სადმე წავიდა. მინდია ჯანელიძე ისევ გუნდის წევრია, ისევ მთავრობაშია, ოღონდ ამჯერად ამ ფორმითაა წარმოდგენილი“, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

„ინტერპრესნიუსი“

ნინო კომახიძე
599-95-33-16

ლარივით „გაპარული“ ინტერპარტიული ჯგუფი მკვდრეთით აღდგა — საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ოპოზიციურ პარტიებს მეორე სიცოცხლე პრეზიდენტმა შთაბერა. გიორგი მარგველაშვილი და ოპოზიცია ერთმანეთს წინა კვირას შეხვდა და ამის შესახებ ოპოზიციის ლიდერებმა ექსკლუზიურად „ვერსიასთან“ ისაუბრეს, თუმცა სამთავრობო არეულობამ ყველა სხვა თემა გადაფარა და შესაძლოა, „ძველ ახალ“ მთავრობას აღარც ახსოვს, რომ „ოპოზიციონერი პრეზიდენტი“ მაისის ბოლოს კიდევ ერთ სიურპრიზს უმზადებს. ამის შესახებ „ვერსიას“ ავლაბრის რეზიდენციიდან გამოსულმა ოპოზიციის ლიდერებმა უთხრეს, ჩაბეტონებულები ვიყავით, მაგრამ ბოლოს ავფართხალდით და ახლა ინტერპარტიულმა ჯგუფმა პროცესი ისე დაძრა, ვინმემ გულითაც რომ მოინდომოს, გაჩერება შეუძლებელიაო.

„ოცნების“ მაჟორიტარებისა და ოპოზიციის ფარული გარიგება



„გულით მინდოდა, ეს ჯგუფი დაშლილიყო, შეხვედრებზეც იშვიათად დავდიოდი — ძირითადად, ძველი მეგობრები ვნახულობდით ერთმანეთს, ახლა კი რაღაც შანსები გამოჩნდა, მაგრამ ცაიტნოტში ვართ. მთავარია, სექტემბრის ბოლოს, „ოცნებამ“ არ გვითხრას, ვერაფრის შეცვლას ვასწრებო“, — გულახდილად განაცხადა გოჩა ჯოჯუამ და დასძინა, საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც პრეზიდენტი საკუთარი ინიციატივით იწვევს, მაისის ბოლოს უნდა ჩატარდეს და მარგველაშვილმა ხელისუფლებას კოდექსის შეცვლა მთელი მსოფლიოს დამოწმებით უნდა მოსთხოვოს. **„ამის მერე, შესაძლოა, ეს მოძრაობა დარბაზებიდან ქუჩაშიც გადავიდეს. ალბათ, აქციებში პრეზიდენტი მონაწილეობა ვერ მიიღებს, მაგრამ ოპოზიციას მისი სოლიდარობა ექნება“,** — ამბობს ჯოჯუა. როგორც მოგვიანებით „ვერსიამ“ ოპოზიციის სხვა ლიდერებთან დააზუსტა, შეიქმნა ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც არიან: ჯონდი ბაღათურია, მამუკა კაციტაძე, ზურაბ ხარატიშვილი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსი პატარაია. მარგველაშვილის მომდევნო, „საარჩევნო სიურპრიზს“ სწორედ ეს ოთხეული მოამზადებს, მანამდე კი, „ვერსია“ იმის გარკვევას შეეცადა, რას ნიშნავს ინტერპარტიული ჯგუფის წევრების „შეცვლილი განწყობა“ და ქმედება: ხან იშლებიან, ხან არა, ხან შეხვედრებზე მხოლოდ მეგობრების სანახავად დადიან, მეორე დღეს კი პრეზიდენტის რეზიდენციაში სხედან ან „ოცნების“ სხვადასხვა მაღალჩინოსანს ხვდებიან. საგულისხმოა, რომ ჯგუფი, რომელიც 2 წელია აცხადებს, არჩევნების მაჟორიტარული წესი უნდა გაუქმდესო და ამისთვის უამრავი არგუმენტი მოჰყავს, მაჟორიტართა კორპუსს ერთხელაც არ შეხვედრია, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურად, თუმცა საინტერესო არაოფიციალური მხარეა, მაგალითად, ის, რომ „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია, როგორც „ვერსიამ“ გაარკვია, „ოცნების“ მაჟორიტარებს ხვდება. ასეთ შეხვედრებს პოლიტიკურ კულუარებში სხვაგვარად თარგმნიან ანუ მაჟორიტარები ოპოზიციას ფულს აძლევენ და საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფის მუშაობას ასე ანეიტრალებენო. ინტერპარტიული ჯგუფის წევრები მეგობრულ საუბრებში ამბობენ, რამდენიმე ოპოზიციონერი ხელისუფლებას იმიტომ ხვდება, რეალური ვითარება გააცნოს და აუხსნას, რომ პიროვნულად, მაჟორიტარების სანინააღმდეგო არაფერი გვაქვსო.

„ვერსიის“ ინფორმაციითვე, კახა კუკავა „ოცნების“ დაყოლიებას ცდილობს, ჯონდი ბაღათურიას კი ამბიცია აქვს, რომ პიროვნული ურთიერთობებით მოაგვარებს საქმეს მაჟორიტარებთან, რომლებიც არასაპარლამენტო ოპოზიციას საჯაროდ დასცინიან. ჯონდი ბაღათურიამ „ვერსიას“ PSP-ს ყოფილ გენდირექტორსა და ამჟამად დმანისის მაჟორიტარ კახა ოქრიაშვილთან შეხვედრა დაუდასტურა: **„მთავარია, საარჩევნო საკითხების რეფორმირებას სათავეში პრეზიდენტი თავად ჩაუდგა, რამაც ჩვენს მოძრაობას მართლა ახალი იმედი მისცა. გადაწყდა, პრეზიდენტი, საკუთარი ინიციატივით, ფართო შემადგენლობის კონფერენციას მოიწვევს, მთავრობის, პარლამენტის, ოპოზიციისა და არასამთავრობო-საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართულობით... დიახ, შევხვდი და ველაპარაკე კახა ოქრიაშვილსაც, ზურაბ ტყემალაძესაც, გიორგი ვოლსკისაც, ირაკლი კობახიძესაც და გაირკვა, რომ პარტია „ოცნებაში“ საარჩევნო ცვლილებების მიმართულებას სწორედ ირაკლი კობახიძე და კახა კალაძე ხელმძღვანელობენ. დასამალი არაფერია, უბრალოდ, ხალხისთვის სათქმელი არ მქონდა, რადგან ჯერჯერობით, კოალიციის შემადგენელი პარტიები არ ჩამოყალიბებულან. თავის მხრივ, ისინი ბიძინა ივანიშვილის ჩამოყალიბებას ელოდებიან. ჩვენი საუბრები ძალიან შორს არ წასულა, თუმცა არ ვფიქრობ, რომ ეს უპერსპექტივო საქმეა — კონსენსუსი შესაძლებელია. ამ ინტერპარტიული ჯგუფიდან რამდენიმე ადამიანი კი არა, მე ვხვდები ხალხს და თანაც, არა ბიზნესმენ მაჟორიტარებს, არამედ პოლიტიკური ფრაქციების ხელმძღვანელებს. ოქრიაშვილიც ფრაქციის თავმჯდომარეა და ამ რანგში შევხვდი. ბიზნესმენობა რა შუაშია, ყველაზე დიდი ბიზნესმენი ბიძინაა და აღარ ველაპარაკოთ? ისე, ოქრიაშვილზე ვერავინ იტყვის, რომ მხოლოდ ბიზნესითაა დაკავებული, პოლიტიკურ ინტერესს ყოველთვის იჩენდა და მიკროფონთანაც მიდის ხოლმე. მაჟორიტარული წესის გაუქმებაზე, პრეზიდენტის გამოსვლისას, უარყოფითი აზრი უკვე დააფიქსირა, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი, რომ ჩვენს შორის არაპროდუქტიული საუბარი იყო. ვცდილობთ, მაჟორიტარებს ცალკე ავუხსნათ, რომ პოლიტიკაში მათი ყოფნის წინააღმდეგი კი არ ვართ, არამედ, არჩევნების ეს სისტემაა უსამართლო“.**

გაგანია სამთავრობო ცვლილებებისას, სამართლიანი არჩევნები, როგორც ჩანს, აღარავის ახსოვს, შემოდგომაზე კი, შესაძლოა, ეს საკონსტიტუციო ცვლილება ვეღარც მოესწროს. ამ ფონზე მოვლენათა განვითარების მხოლოდ ორი სცენარი არსებობს: თუ პრეზიდენტის ძალისხმევის მიუხედავად, არაფერი შეიცვალა, გამოდის, ფულისტომრიან მაჟორიტარებს რამდენიმე ტომარა ოპოზიციისთვისაც გაუმეტებიათ ან ინტერპარტიული ჯგუფის ლიდერებმა, ფულის ნაცვლად, გარანტია მიიღეს, რომ შემდეგი მოწვევის პარლამენტში ერთორ მანდატს „ჩაახუტებენ“. აკი, ოპოზიციამ გააჟღერა კიდეც, ხომ არ აჯობებს, „ოცნებას“ ამჯერად დავუთმოთ და 2016 წლის არჩევნები ძველი კოდექსით ჩავატაროთო...

ნინო კომახიძე
599-95-33-16

სამთა დოსი

პარლამენტის ხელახალი ნდობის მოპოვება პრემიერ-მინისტრის მიერ წარდგენილ სამ პერსონას მოუწევს — სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრს, ბიზნესმენ ტარიელ ხეჩიკაშვილს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრს, რესპუბლიკელ გიგლა აგულაშვილსა და თავდაცვის მინისტრს, ასევე რესპუბლიკელ თინა ხიდაშელს. ისე, პარლამენტისა და უზენაესი სასამართლოს პირველი პირებიც რესპუბლიკელები არიან. მოკლედ, საქართველოს თავზე რესპუბლიკელების დროშა ფრიალებს!

„კი ვვიშვიშებდით, აშშ-მ საქართველო დაივიწყაო, მაგრამ მთლად ასე არ ყოფილა. დასავლური იმიჯის რეაბილიტაციისთვის ფრიად ხელშემწყობი კონფიგურაცია დალაგდა: სულ მცირე, პრეზიდენტი, პარლამენტი და თავდაცვა ანუ აღმასრულებელი ხელისუფლებაც დასავლური განვითარების მომხრეთა ხელშია“, — ექსპერტ ხათუნა ლაგაზიძის ამ შეფასებას არასამთავრობო სექტორის თითქმის ყველა ლიდერი და ცნობილი სახე ეთანხმება. ითქვა ისიც, რომ ზემოხსენებული კონფიგურაცია აშშ-ს ელჩის, ნორლანდისა და ბიძინა ივანიშვილის შეთანხმებით დალაგდა და ამით მოიხსნა კითხვები თავდაცვის ექსმინისტრის, მინდია ჯანელიძის საქმიანობაზე, რომელიც უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს თავმჯდომარეობას დასჯერდა... მოკლედ, რამდენიმე დღეში პარლამენტი ახალი მთავრობის ნდობის გამოცხადებაზე იმსჯელებს, მანამდე კი მოდით, თვალი სამი ახალი მინისტრის განვლილ გზას გადავავლოთ:

ყველასთვის კარგად ცნობილმა პოლიტიკოსმა, **თინა ხიდაშელმა** 1995 წელს თსუ დაამთავრა. სხვადასხვა დროს სწავლობდა საერთაშორისო სამართლისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტებზე, ბუდაპეშტში. ასევე, ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტში, ვაშინგტონში. 1994-1995 წლებში, პარლამენტში მთავარ სპეციალისტად მუშაობდა. 2000-2004 წლებში საია-ს (ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია) დირექტორი გახლდათ, მერე — სახელმწიფო ანტიკორუფციული საბჭოს წევრი, მოგვიანებით, — ფონდ „ღია საზოგადოება საქართველოს“ მმართველი საბჭოს თავმჯდომარე. 2005 წლიდან დღემდე, სამართლისა და ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში საერთაშორისო ორგანიზაციების კონსულტანტია. ხიდაშელის პოლიტიკური კარიერა მხოლოდ რესპუბლიკელებთანაა დაკავშირებული: 2005-2009 წლებში პარტიის საერთაშორისო მდივანი იყო, 2009-2012 წლებში — დედაქალაქის საქმეთა მდივანი; 2010-2012 წლებში — თბილისის საკრებულოს წევრი, საარჩევნო ბლოკიდან „ალიანსი საქართველოსთვის“. საკრებულოში ხიდაშელი ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიისა და იურიდიულ საკითხთა კომისიების წევრი გახლდათ. 2012 წლის 1 ოქტომბერს, ბიძინა ივანიშვილმა რესპუბლიკელებს თავის ახლადშექმნილ კოალიციაში დაუძახა და ხიდაშელი საგარეჯოს მაჟორიტარად აირჩიეს. სხვათა შორის, ხიდაშელს მოსახლეობისთვის მიცემული მთავარი დაპირება დარჩა აუსრულებელი — პარლამენტში დროებითი საგამოძიებო კომისია უნდა შეექმნა და „ნაციონალების 9-წლიანი ბოგინისას“ გამოვლენილი დანაშაულები შეესწავლა, თუმცა ხიდაშელი მხოლოდ ფრაქცია რესპუბლიკელების თავმჯდომარის მოადგილე და ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრი იყო, სულ ცოტა ხნის წინ კი ამ კომიტეტის თავმჯდომარე გახდა. ის პარლამენტში სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრიც გახლდათ. ხიდაშელმა მინისტრის პორტფელი უკვე მოირგო და ახალი სტატუსით შეხვედრებიც გამართა; სამინისტროში საკადრო ცვლილებებიც დააანონსა. სხვათა შორის, თინა ხიდაშელი, ირაკლი ალასანია და ირაკლი ოქრუაშვილი თანაკურსელები არიან. საინტერესო დამთხვევაა: სხვადასხვა დროს, სამივე თავდაცვის მინისტრი გახდა.

რიგით მეორე რესპუბლიკელი მინისტრი **გიგლა აგულაშვილი** პოსტს შედარებით მოკრძალებულად დაეპატრონა. მანამდე, პარლამენტში აგრარულ საკითხთა კომიტეტს ხელმძღვანელობდა და რესპუბლიკელების ფრაქციის წევრი იყო.

მისი განვლილი კარიერა კი, დიდწილად, საგამოძიებო საქმიანობასთანაა დაკავშირებული: ჯერ საგარეჯოს რაიონული პროკურატურის გამომძიებელი იყო, შემდეგ — საგამოძიებო აპარატის გამომძიებელი და ამ აპარატის უფროსის მოადგილე. 1995 წელს შევარდნაძეზე განხორციელებულ ტერაქტსაც იძიებდა. 1999-2001 წლებში კახეთის პროკურორი გახდა. მერე თბილისში, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პროკურორად გადმოვიდა, მოგვიანებით კი აღსრულების ეროვნული ბიუროს უფროსად მოგვევლინა. 2003-2004 წლებში აგულაშვილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსი იყო. პარალელურად, ცეცხლსასროლი იარაღის, ფონდებისა და პარტიების რეგისტრაციის დეპარტამენტს თავმჯდომარეობდა. 2005-2012 წლებში აგულაშვილი რესპუბლიკელების აღმასრულებელი მდივანი იყო. თანაპარტიელისგან განსხვავებით, საკადრო ცვლილებები არ დაუანონსებია და დაგვპირდა, ნეპოტიზმის სენი არ შემეყრებაო.

სპორტის მინისტრად დასახელებულ **ტარიელ ხეჩიკაშვილს** პოლიტიკური ბიოგრაფია არ აქვს. სამაგიეროდ, მის ანგარიშზე შვიდი შვილი და ერთი სკანდალია. ისე, მარადუკმაყოფილო სპორტსმენმა პარლამენტარებმა, რომელთაც ლევან ყიფიანი უკვე „მოინელეს“, თვალი ახალ მინისტრსაც დააგდეს — სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ, შოთა ხაბარელმა განაცხადა, ეჭვი გვაქვს, ხეჩიკაშვილიც ყიფიანის კურსს გააგრძელებსო. ხეჩიკაშვილი წარმატებული ბიზნესმენია: საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს“ და ასევე, ცნობილ ჰოლდინგ „იბერია ბიზნესჯგუფს“ ფლობს. მისი თაოსნობით შეიქმნა სპორტული მუზეუმი სპორტის სამინისტროში. პრემიერის თქმით, ის ძლიერი მენეჯერი და ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობის სამთავრობო კომისიის წევრია.

სხვათა შორის, მას მერე, რაც ახალი მთავრობა დამტკიცდება, პარლამენტი კვლავ ორი დეპუტატის გარეშე დარჩება: საგარეჯოში შუალედური არჩევნები ჩატარდება. გიგლა აგულაშვილის ადგილს კი სიით მომდევნო რესპუბლიკელი, თემურ ნერგაძე დაიკავებს.

რა კავშირი აქვს ირაკლი ღლონტს კარალიოკის ბიზნესთან

ვანო პავლიაშვილი

...პარასკევს უნდა შევხვედროდით, მაგრამ კახა კუკავა ისევ დააკავეს და ამიტომ აუდიენცია შაბათისთვის გადავდეთ... დათქმულ დროს ოფისთან მომაკითხა და შემომთავაზა, „აჭარული“ ვჭამოთ, თან ვილაპარაკოთო... „აჭარულის“ ლოდინში რამდენიმე დეტალი გავარკვიე, მაგალითად ის, რომ კლასიკური ჩაცმულობა უყვარს ანუ პიჯაკში თავს უფრო კომფორტულად გრძნობს, რაც ელექტორატის ნაწილს არ მოსწონს; მერე ისიც მითხრა, კაგებე-ს ვერ ვიტანო და დასძინა, კომუნისტების გამოზრდილები არ ვართ, თავისუფლებაზე ორიენტირებული თაობა ვართო... ამასობაში, „აჭარულიც“ მოიტანეს, თუმცა ჭამა არ ვაცადე და კითხვებით „დავბომბე“. მოკლედ, ბევრს რომ აღარ მივედ-მოვედო, გთავაზობთ არა-ჩვეულებრივ ინტერვიუს ირაკლისთან, ოღონდ, ყურადღება მიაქციეთ: ეს არც ღარიბაშვილია და არც ალასანია, ეს ირაკლი ღლონტია, პოლიტიკური გაერთიანება რეფორმატორების თავკაცი, რომელიც ბოლო დროს, კუკავა-ჯოჯუასთან ერთად, „სითი პარკს“ „სიცოცხლეს უმწარებს“. სხვათა შორის, „ოპოზიციური სამეული“ 26 მაისს მორიგი აქციის გამართვას კვლავ ყოფილი პრემიერის ბიზნესცენტრთან გეგმავს...

რაზე ელაპარაკა მიშა — უცნობი ფაქტები რეფორმატორების ლიდერის ცხოვრებიდან

— ირაკლი, დღეს „ჩავარდნა“ გაქვს — არ დაგაკავეს!

— სულ ერთხელ დამაკავეს. საერთოდ, ჩემი დამოკიდებულება საყოველთაოდ ცნობილია — ერთ-ერთი მათგანი ვარ, ვინც პოლიციის მუნდირს იცავს. სამართალდამცავებთან პრობლემა არასოდეს მქონია, რაშიც ჩემი პროფესიაც მეხმარება და განვლილი გზაც, მაგრამ იმ დღეს პოლიციამ დავალება მიიღო, რომ...

— კარგი, რა!

— რაციით გავიგონეთ, მანდ პოლიტიკური პარტიის ლიდერები არიან და არ გვაინტერესებს, დააკავეთო...

— კახა კუკავას თუ არ ჩავთვლით, ამ პოლიტიკური პარტიის ლიდერების შესახებ მხოლოდ მეგობარ-ნათესავებმა იციან...

— ასე არ ვთვლი...

— ქვეყანაში სამთავრობო „პერეტრუბაციებია“ და ახლა ხელისუფლებას იმისთვის სცალია, თქვენი დაკავების ბრძანება გაეცა ან რა საფრთხეს წარმოადგენთ?

— სწორედ ესაა დილეტანტიზმი — არ იციან, ვინ, როდის და რატომ დააკავონ. უბრალოდ, დაცვის მექანიზმი იციან და ბიძინა ივანიშვილს ოპოზიციური ძალებისგან იცავენ, თუმცა ეს, დაცვა კი არა, რეალურად, დაზიანებაა, რადგან პროტესტის გრძნობა უფრო გვიყალიბდება.

— ბიძინა ივანიშვილი რაღა შუაშია — ჩვეულებრივი მოქალაქეა, თან ვთქვათ, შენს სახლთან აქცია რომ გავმართო, პატრულს არ გამოიძახებ?

— თუ ეს აქცია კანონდარღვევა იქნება, რა თქმა უნდა, გამოვიძახებ, მაგრამ თუ აქციას შესაბამისი სამართლებრივი აქტით ჩაატარებთ, პატრულს კი არ გამოვიძახებ, პირიქით, ეს ჩემთვის საინტერესო პროცესი იქნება. ეს დემოკრატიაა და უნდა მივეჩვიოთ!

— დემოკრატია კერძო საკუთრებასაც იცავს! ისე, საპროტესტო აქცია სახელმწიფო კანცელარიასთან რატომ არ გამართეთ?

— კანცელარიასთან, სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, ურთიერთობა წერილობით გვაქვს... დღეს პრეტენზია „სითი პარკთან“ გვაქვს...

— ირაკლი, გამაგიჟებ: თუკი პრეტენზია „სითი პარკთან“ გაქვთ, აქციას ბიძინა ივანიშვილის ბიზნესცენტრთან რატომ მართავთ? ყველა ლოგიკით, ნარმანიასთან უნდა მისულიყავით...

— ნარმანიასთან ვიყავით, ვესაუბრეთ...

— აქცია ნარმანიას სახლთან რატომ არ გამართეთ?

— სახლთან აქციის გამართვა ჩემი ფორმატი არაა — სახლში ოჯახის წევრებიც არიან.

— უკაცრავად და, ბიზნესცენტრიც სახლია!

— ბიძინა სხვა რანგია — როცა საკადრო პოლიტიკა იცვლება, აშშ-ს ელჩი ბიძინა ივანიშვილს ხვდება.

— მოკლედ, სოლოლაკში იმიტომ იმიტინგეთ, რომ პიარი გინდოდათ!

— არა, არა... ტელევიზიების თანხლებით არ მივედით. უბრალოდ, „სითი პარკისთვის“ გვინდოდა გვეთქვა, თაღლითი კომპანია ხარ, თბილისელებს ძარცვავ და არ გაქვს უფლება, ჩვენს ქალაქში საქმიანობა გააგრძელოო. სხვათა შორის, ჩემმა კოლეგებმა „სითი პარკის“ აბრა სპეციალური აპარატურით მოჭრეს, მაგრამ პიარი არც ეს იყო...

— საქართველოში ერთ მოქალაქეზე, მგონი, ათი პარტია მოდის...

— 256 პარტიაა...

— ამ სიაში რეფორმატორები მერამდენეა?

— დისკრიმინაციული გარემოს მიუხედავად, ვფიქრობ, ათეულში წარმატებული ადგილი დავიკავეთ.

— თუკი რეფორმატორები ასეთი წარმატებულები ხართ, საპარტნიოროდ კუკავა-ჯოჯუას მეტი ვერავინ მოძებნე?

— ჩვენი იდეა რეალობის შეცვლაა...

— რეალობა კუკავას გარეშე რომ შეცვალო, არ გინდა?

— ჩვენი აქტივობა, ვფიქრობ, წარმატებულია...

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, მაგრამ იცი, კუკავა ადრე სად მუშაობდა?

— თუ არ ვცდები, შსს-ში, „მოსმენებში“, მაგრამ მოქმედი კანონმდებლობით, მოსმენა დაშვებულია და ეს პრობლემას არ მიქმნის, თან კახა კუკავა წლების განმავლობაში ნაცმოძრაობის მიერ რეპრესირებული იყო. შესაბამისად, მაქვს მაღალი რწმენა, რომ ის, როგორც მე, პრობლემების მოსაგვარებლად იბრძვის, თუმცა საგარეო კურსთან დაკავშირებით თანხმობა არ გვაქვს...

— როგორც ვიცი, ფულის პრობლემა გაქვს. ჰოდა კუკავამ, რომელიც, არსებული ინფორმაციით, პუტინის ახლობელ მიხეილ ხუბუტიასთან მეგობრობს, გითხრას, აი, მიშას ფულიო...

— ხუბუტიას ფული რომ მინდოდეს, პირადად დავუკავშირდებოდი, მაგრამ ჩემთვის მთავარი ის ღირებულებებია, რომელთა გამოც საქმიანობა პოლიტიკურ ასპარეზზე გადავწყვიტე. სტუდენტობიდან მოყოლებული, ჩემი მიზანი საქართველოს ევროატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებაა და ეს, ჩემი კოლეგებივით, მხატვრულ-ზღაპრული კი არა, პრაგმატულად გააზრებული პოლიტიკაა — ვიცი, ნატო-სთან ალიანსი და ევროპულ ოჯახთან თანაცხოვრება რატომ მჭირდება.

— საქართველოში არაერთი პროდასავლური პარტიაა — თავისუფალი დემოკრატები, ნაცმოძრაობა... ახალი პარტია რაღა საჭიროა?.. ისე, ირაკლი, როგორ ფიქრობ, პოლიტიკოსი ხარ?

— პოლიტიკოსის სტატუსი მაქვს, თუმცა ეს საზოგადოებამ უნდა გადაწყვიტოს...

— სამსახური დაკარგე, იფიქრე, შინ რა ვაკეთოო და პარტია ამიტომ ჩამოაყალიბე?

— იცი, რა, პოლიტიკურ საქმიანობას ისედაც ვაპირებდი, მაგრამ ჯერ დასავლური პრაქტიკის, ცოდნის დაუფლება მინდოდა... ქვეყანაში კი არსებულმა რეალობამ მიკარნახა, რომ დასავლეთში არ უნდა წავსულიყავი, რადგან ეს ჩემი მხრიდან კეკლუცი იქნებოდა, ამიტომ გადავწყვიტე, დავრჩენილიყავი, ირგვლივ წარმატებული ადამიანები შემომეკრიბა და პოლიტიკური გაერთიანება შემექმნა. ეს შევძელი — შექმნიდან ორ თვეში, არჩევნებში მივიღეთ მონაწილეობა და ვფიქრობ, საინტერესო შედეგებიც „დავდეთ“. ახლა წინსვლასა და წარმატებისთვის ბრძოლას ვაგრძელებთ.

— ირაკლი, ცუდი რაღაცები რომ გკითხო, ხაჭაპურის შეკვეთას ხომ არ გააუქმებ?

— არა, როგორ გეკადრება!

— მართლა ჰომოფობი ხარ?

— არა, პირიქით, ჰომოფობიას ვებრძვი.

— ანუ ლგბტ-ების წინააღმდეგ განცხადება არასოდეს გაგიკეთებია?

— არა. უბრალოდ, ვთქვი, რომ სიმშვიდე მინდა.

— არც იმას ადასტურებ, რომ ეკონომიკის სამინისტროდან ამის გამო გამოგიშვეს?

— მთლად ამიტომ არა, სხვა საკითხებიც იყო — ჩემი ზეაქტივობა.

— მხარს ნაციონალებს უჭერდი, თან ამბობდი, მიშა კარგი პრეზიდენტიაო და „ზეაქტივობას“ ამას ეძახი?

— როცა საჯარო სამსახურში ვიყავი, ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მთხოვა, მიშას ნაკლი დამესახელებინა, მაგრამ არ დავასახელე.

— შეგეშინდა?

— არა, უბრალოდ, მაიკო მიმინოშვილისგან განსხვავებით, ბიძინა ივანიშვილთან ერთად, მაისურები არ მიფრიალებია... სწორი გადაწყვეტილება მივიღე, რომ არც ნაციონალების გვერდით დავდექი და არც „ქართული ოცნების“.

— ...შენი იდეოლოგი ირაკლი კაკაბაძეა?

— ირაკლი კაკაბაძეს ზუსტად ორჯერ შევხვდი, კარგი გამარჯობით.

— გულწრფელი ხარ?

— ასი პროცენტით.

— კაკაბაძესთან სახლში არ დადიხარ ხოლმე?

— ნამყოფი ვარ — გარკვეულ საკითხებზე საერთო ხედვები გვქონდა, ვისაუბრეთ, ერთმანეთს იდეები გავუზიარეთ და მორჩა, ურთიერთობა დასრულებულია.

— ის ერთ-ერთი ახალგაზრდა შენ ხარ, ამას წინათ, მიშამ რომ თქვა, თურქეთში შევხვდიო?

— თურქეთში ნაყოფი საერთოდ არ ვარ!

— რაც საქართველოდან წავიდა, მიშას არ შეხვედრიხარ?

— საუბარი მქონდა...

— რაზე?

— გარკვეული ინფორმაციების გაცვლაზე, ვთქვათ, ერთად დადგომაზე, რადგან ქვეყანაში პროდასავლურ ძალებთან დაკავშირებით პრობლემა რეალურად გვაქვს, მაგრამ პრინციპული გადაწყვეტილება მივიღე და თავი შევიკავე, რადგან მაქვს ობიექტური მიზეზები, რის გამოც ნაცმოძრაობის ლიდერებთან არ დავდგები!

— ირაკლი, იმას, რის გამოც ნაცებთან პრეტენზიები გაქვს, თავის დროზე აპროტესტებდი?

— შეძლებისდაგვარად.

— მაგალითად, 7 ნოემბერი გააპროტესტე?

— კი, ოღონდ სამეგობრო წრეში.

— ღიად გაპროტესტება ვინმემ დაგიშალა?

— ვანო, საჯარო მოხელე ვიყავი, კონკრეტული საქმე მქონდა და, შესაბამისად, პასუხისმგებლობისგან აბსოლუტურად თავისუფალი ვარ — დარბევა დავგმე და ვთვლი, რომ ეს უდიდესი კრახი, შეცდომა და ერის სირცხვილი იყო! სხვათა შორის, საკრებულოში ვმუშაობდი და რუსთაველზე, კეზერაშვილის დავალებით, გამოგვრეკეს და დარბეული მიტინგი საკუთარი თვალით ვნახე, ეს ძალიან მტკივნეული იყო!

— ქუჩაში რატომ გამოხვედი?

დასასრული მე-5 გვერდზე

ვერსიანიუსი

პოლიციამ 30 აბი „სუბუტექსი“ ამოიღო



შსს-ს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, 1974 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი კობა ს. და 1972 წელს დაბადებული არჩილ თ. განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით ქობულეთში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულების პირადი ჩხრეკისას 30 აბი „სუბუტექსი“ ამოიღეს, რომელიც ექსპერტიზის დასკვნით 0,237588 გრ ბუპრენორფინს შეიცავს. გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულება აღნიშნული ნარკოტიკი საქართველოში თურქეთის რესპუბლიკიდან შემოიტანეს.

გამოძიება ჯგუფის მიერ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, 262-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით).

„ვერსიანიუსი“

მაია მიშელაძე
593-51-90-12

კახა კალაძის დაფუძნებული „პროგრეს ბანკი“ იყიდება?!

დეტალები ორ კვირაში გაირკვევა

მთავრობის კოსმეტიკური, უფრო ზუსტად, ტექნიკური ცვლილებების ფონზე, „ვერსიამ“ სანდო წყაროზე დაყრდნობით შეიტყო, რომ ვიცე-პრემიერისა და ენერგეტიკის მინისტრის, კახა კალაძის ყოფილი „პროგრეს ბანკი“ იყიდება. წყაროს ინფორმაციითვე, კალაძე ნელ-ნელა ყველა იმ ბიზნესს, რომელშიც წილი ოფიციალურად აღარ აქვს, მაგრამ მასთან ასოცირდება, იშორებს და საქართველოდან წასვლასაც გეგმავს თურმე.

2008 წელს, „პროგრეს ბანკი“ კახა კალაძემ დააფუძნა, მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ანუ 2012 წლის 31 ოქტომბერს, წილი გაყიდა და ბანკის მართვიდან გავიდა. ამჟამად, „პროგრეს ბანკის“ 78.29%-იან წილს საერთაშორისო საინვესტიციო ჯგუფი „ვებიონი“ ფლობს, ბანკის 21.71%-იანი წილი კი, ბიზნესმენისა და მეცენატის, ბიძინა ივანიშვილის საკუთრებაა.

ოფიციალური ინფორმაციით, „პროგრეს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე ლორენცო ჩიპრიანია, რომელსაც საერთაშორისო საინვესტიციო ბანკებში მუშაობის მდიდარი გამოცდილება აქვს. სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე კი ილია კეჭაყმაძეა, რომელიც სხვადასხვა დროს საბანკო სფეროში სწორედ ხელმძღვანელ თანამდებობაზე მუშაობდა.

2011 წლიდან, „პროგრეს ბანკის“ ერთ-ერთი მეწილე ბიძინა ივანიშვილია, რომელმაც ამ ბანკში 8.67%-იანი წილი შეიძინა. 2012 წლის 15 თებერვალს, როდესაც ბიზნესმენმა პოლიტიკურ ორბიტაზე მთავარი ოპოზიციონერის როლი მოირგო, ბანკში საკუთარი წილი 21.71%-მდე გაზარდა. ეს ფინანსური ტრანზაქცია გაპოლიტიკოსებულ ბიზნესმენს 2 494 500 ლარი დაუჯდა. მანამდე, „პროგრეს ბანკის“ 91.33%-იანი წილს „კალა კაპიტალი“ ფლობდა, რომლის ბენეფიციარი მესაკუთრე კახა კალაძე იყო. მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილმა ბანკში საკუთარი წილი 21.71%-მდე გაზარდა, ავტომატურად, „კალა კაპიტალის“ წილი 78.29%-მდე შემცირდა.

2012 წლის 1 ოქტომბერს, როდესაც საპარლამენტო არჩევნებში „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა და ოქტომბრის შუა რიცხვებში, ბიძინა ივანიშვილმა ენერგეტიკის მინისტრად კახა კალაძე დაასახელა, კანონის შესაბამისად, მინისტრობის კანდიდატმა მის საკუთრებაში არსებულ ყველა კომპანიაში, საკუთარი წილი გაასხვისა. შესაბამისად, 2012 წლის 31 ოქტომბერს, კახა კალაძე „პროგრეს ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრობიდან გადადგა. კანონით გათვალისწინებული წესის თანახმად, კალაძემ „პროგრეს ბანკის“ 78.29%-ის მფლობელი, „კალა კაპიტალის“ წილი მართვაში გადასცა, თუმცა „პროგრეს ბანკის“ 78.29%-იანი წილის ბენეფიციარ მესაკუთრედ ისევ დარჩა.

რატომ და რა მიზეზით გადაწყდა „პროგრეს ბანკის“ გაყიდვა? კონკრეტულად ვისთან აწარმოებს მოლაპარაკებას „პროგრეს ბანკი“? ამ კითხვებით „ვერსიამ“ ბანკს მიმართა. „პროგრეს ბანკის“ წარმომადგენელმა, ელენე ზამთარაძემ ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია არც უარყო და არც დაადასტურა და გვითხრა, რომ დაახლოებით, ორი კვირის ვადაში, ჩვენთვის საინტერესო ყველა დეტალი დაზუსტდება და ოფიციალურ კომენტარს „პროგრეს ბანკის“ წარმომადგენლები მხოლოდ ორი კვირის შემდეგ გააკეთებენ, თან ეს ინფორმაცია ბანკის ვებ-გვერდზეც განთავსდება.

საქართველოს საბანკო სექტორში ამჟამად 20 ლიცენზირებული კომერციული ბანკი ოპერირებს. წლების განმავლობაში, საბანკო სექტორს ყოველთვის ახასიათებდა კომერციული ბანკების შერწყმა-გამსხვილების პროცესი. რამდენიმე წელია, მსგავსი აქტივობა საბანკო სექტორში არ შეინიშნებოდა, თუმცა 2014 წლის დეკემბერში, თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა, ვახტანგ ბუცხრიკიძემ პრესკონფერენციაზე თიბისისა და „ბანკი კონსტანტას“ კონსოლიდაციის გეგმაზე ისაუბრა. 2015 წლის იანვრიდან, „კონსტანტამ“ ოპერირება ახალი — თიბისი ბანკი კონსტანტას სახელით დაიწყო. თიბისი ბანკის მსგავსად, საბანკო სექტორის კიდევ ერთმა ლიდერმა, საქართველოს ბანკმა არც ისე დიდი ხნის წინ, „პრივატბანკი“ შეიძინა. გამორიცხული არ არის, რომ საბანკო სექტორში არსებულ ამ ტენდენციას არც „პროგრეს ბანკი“ ჩამორჩა და შესაძლოა, ორ კვირაში, რომელიმე მსხვილ ბანკს შეერწყას.

რა კავშირი აქვს ირაკლი ღლონტს კარალიოკის ბიზნესთან

მე-4 გვერდიდან

— ასე მარტივად არაა, ვანო, ხელმძღვანელი თანამდებობის პირებისგან მითითება იყო, ქუჩაში გავსულიყავით და დაგვეფიქსირებინა, ჩვენც ხალხი ვართო.

— ...ამას წინათ, ბორკილები რომ დაგადეს, რა იგრძენი?

— ეს ჩემთვის ძალიან მტკივნეული და შეურაცხმყოფელი იყო, რადგან მთელი ცხოვრება იურისპრუდენციას ვეუფლები და როცა „კანონიერი ქურდები“ საზღვარს უპრობლემოდ კვეთენ, მე ბორკილებს იმიტომ მადებენ, რომ თაღლითურ კომპანიას წინააღმდეგობას კანონის ფარგლებში ვუწევ.

— ჯარიმა გადაიხადე?

— დარწმუნებული ვარ, 4 მაისს სასამართლო გამამართლებს!

— რომ არ გაგამართლოს, ჯარიმას გადაიხდი?

— არა, გავასაჩივრებ... ამას პოლიტიკური შეფასება მიეცემა, დაარქივდება და თავის დროზე, ყველა პასუხს აგებს! სხვათა შორის, ორშაბათს აშშ-ს საელჩოში შეხვედრა მაქვს და, სავარაუდოდ, საქმის კურსში ბატონ ნორლანდსაც ჩავაყენებ.

— „ვაუ“, ნორლანდს თუ შეხვდები, ეგებ, მინისტრადაც დაგნიშნოს!

— დანიშვნა რომ მდომებოდა, იმ ქალბატონთან ერთად, წელან რომ გითხარით, დავდგებოდი და, ალბათ, რომელიმე უწყებას ჩავიბარებდი.

— ერთ ინტერვიუში თქვი, საქართველოდან წავალო... აღარ მიდიხარ?

— ეს არასწორი ინტერპრეტაციაა... ჯერ თქვეს, ღლონტი ნაცებისგან ფინანსდებაო, მერე „ქართული ოცნებისგანო“. ჰოდა, ვთქვი, თუ ვინმე დადებს კომპრომატს, რის გამოც არ მექნება უფლება, ქართულ პოლიტიკაში ვიყო და ჩემს გუნდთან ერთად ვიზრდებოდე, ამ ქვეყანას საერთოდ დავტოვებ-მეთქი.

— 15 წუთია, ვლაპარაკობთ და საკუთარ თავზე კომპრომატი თავადვე „დადე“, მიშას ველაპარაკეო...

— ვილაპარაკეთ...

— ნუ მატყუებ! როგორც ვიცი, პირისპირ შეხვდით!

— (იღიმება) ეს შენი ინფორმაციაა...

— კარგი... მიშა როგორ დაგიკავშირდა?

— ნაცმოძრაობაში ძალიან ბევრი ნაცნობი მყავს...

— ამ დალაპარაკებამ დაგაბნია?

— იმ კონკრეტულ მომენტში არ ველოდი, მაგრამ ჩვეულებრივი რეაქცია მქონდა — მე პოლიტიკოსი ვარ.

— ძებნილს ელაპარაკე, ირაკლი, ძებნილს!

— ძებნილი რომაა და სამართლებრივ ურთიერთობას ვერ ალაგებს, ეს ხელისუფლების პრობლემაა!.. თუ სამართალდამცავებს კითხვები ექნებათ, მზად ვარ, ვუპასუხო!

— ჩათვალე, რომ უშიშროების გამომძიებელი ვარ. ჰოდა, მიპასუხე: მიშამ კონკრეტულად რა შემოგთავაზა?

— ვერ ჩავთვლი, რადგან გიცნობ — შენი წარსული, აწმყო ვიცი და მჯერა, უშიშროების საქმიანობისგან აბსოლუტურად გამიჯნული ხარ...

— ...ბოლო-ბოლო, რა გინდა?

— რეალობის შეცვლა!

— კარიერისტი ხარ?

— ჩემი ქვეყნისა და შესაძლებლობების რეალიზებისთვის ვიბრძვი. არ ვიცი, ეს კარიერისტობას ნიშნავს? კონკრეტულ დარგებთან მიმართებაში ჩემი ხედვა მაქვს და მინდა, ყველაფერი სხვანაირად მიმდინარეობდეს. ის, რასაც „ქართული ოცნება“ აკეთებს და ნაცმოძრაობის დროსაც ხდებოდა, ჩემთვის იაფფასიანი პოპულიზმის ტირაჟირებაა და მეტი არაფერი! თავიანთ ხელდასხმულ ბიზნესმენებს რეგიონებში დაატარებენ და ამბობენ, აქ ყველაფერი აყვავდებაო. ეს მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკას მახსენებს, როცა ბიზნესმენებს ხვდებოდა, რამდენიმე საათის მერე კი მათ ამირან მესხელი ჩამოუქროლებდა და წილს სთხოვდა, მათ შორის ჩემი გენერალური მდივანიც მოხვდა.

— შენი გენდმივანი ვინაა?

— ზვიად გობეჯიშვილი, რომელიც „შირნხოფერის“ დირექტორია.

— ...ლარის გაუფასურებამ დაგაზარალა?

— რა თქმა უნდა, კრედიტები მეც მაქვს...

— ფულს როგორ შოულობ?

— ჩემი ოჯახიდან წასული ემიგრანტების დოტაციაზე ვარ — ჩემი სიმამრი აშშ-შია და ჩემს ოჯახს ეხმარება.

— ჰოდა, წადი, რა, შენც აშშ-ში!

— აქ არ გჭირდები?..

— სიმართლე გითხრა, პოლიტიკოსების არ მჯერა!

— ჩემ და სხვა პოლიტიკოსებს შორის განსხვავებას ვერ ხედავ? იმ თაობის წარმომადგენელი ვარ, რომელიც აქამდე პოლიტიკურ ასპარეზზე არ ყოფილა და რომელიც განახლებისთვის იბრძვის. არ მინდა, პოლიტიკურ ასპარეზზე ისევ თოფაძეები, ტყემალაძეები, ვოლსკები და ტრიპოლსკები იყვნენ! მინდა, ახალგაზრდები ვიყოთ!

— გინდა, რეფორმატორებში შემოვიდე?

— სიამოვნებით, კარი ღიაა! ოდიოზური წარსული და დაგროვილი კაპიტალი არ მაქვს! მე იდეა მაქვს, რომელსაც ყველას გიზიარებთ! სხვათა შორის, ხელისუფლებას ანტიკრიზისული და მეწარმეობის განვითარების ალტერნატიული გეგმები წარვუდგინეთ, მაგრამ არ გაიზიარა...

— პარტიას რამდენი წევრი ჰყავს?

— რამდენიმე თვის წინანდელი მონაცემებით, 3 200, თუმცა დღეს ჩვენი შემადგენლობა ორჯერ მეტია.

— ირაკლი, არ გინდა, „ქერის უბნის“ პერსონაჟი იყო?

— (ფიქრობს) ალბათ, საინტერესო იქნება. რატომაც არა?!

— ახლა, მოდი, ოჯახზეც მიამბე...

— საბედნიეროდ, გამიმართლა და მეუღლე ყველაფერში ხელს მიწყობს — ოჯახს ბევრ რამეს ვაკლებ, მაგრამ ამას გაგებით ეკიდება. ჩვენს ოჯახს აქვს რწმენა, რომ საქართველოში უკეთესი რეალობის შექმნაში მონაწილეობს!

— პრეზიდენტობა გინდა?

— ამისთვის დღეს მზად არ ვარ, თუმცა მინდა, პარლამენტარი ვიყო და პარლამენტიდან დავიცვა პოლიტიკური და საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები! ეს დამეხმარება, დასავლეთში პარტნიორებთან უფრო გამართული ურთიერთობა მქონდეს...

— ბაქოში დადიხარ ხოლმე?

— ერთხელ, რამდენიმე თვის წინ, ვიყავი — მეგობარს კარალიოკის ბიზნესზე ვახლდი.

— ესე იგი, კარალიოკის ბიზნესში ხარ?

— (იცინის) არა... ხომ გითხარი, ჩემი მეგობარი ზვიად გობეჯიშვილი ბიზნესმენია და ინტერესი მას ჰქონდა.

— ასეა თუ ისე, ამ ინტერვიუს სათაური უკვე ვიცი — ირაკლი ღლონტი კარალიოკის ბიზნესშია?!

— ბაქოში, უბრალოდ, ზვიადს ვახლდი. სხვათა შორის, ახლა ალმა-ათაში მიფრინავს. მერე, უკრაინაში შევხვდებით...

— მიშას?

— არა, ფორუმზე ვართ მიწვეულნი და ამას გავასაჯაროებ.

— ...ბიძინა ივანიშვილი რომ ნახო, რას კითხავ?

— საქართველოს ხელისუფლებაში ამდენი დილეტანტი რატომაა-მეთქი.

— ირაკლი, საკუთარ თავს რას ვერ აპატიებ?

— იდეებზე უარის თქმას და გვერდზე გადგომას.

— რა ცუდი თვისება გაქვს?

— ვეწევი... საერთოდ, ჯანმრთელ ცხოვრებას დროს ნაკლებად ვუთმობ, თუმცა გადაწყვეტილი მაქვს, ეს რეალობაც შევცვალო.

— ჯადოსი გჯერა?

— მართლმადიდებელი ვარ...

— კინაღამ დამავიწყდა: თავის დროზე ისიც ითქვა, ღლონტი ისრაელის დაზვერვასთან თანამშრომლობსო...

— არც ერთი ქვეყნის დაზვერვასთან ურთიერთობას არ ვაპირებ! პირიქით, იმ ადამიანებს ვებრძვი, ვინც სამხედრო თანამდებობებზე დაზვერვიდან მოვიდნენ! მე პოლიტიკოსი, ოპოზიციონერი ვარ და მნიშვნელოვანია, იმ წარმატებისთვის ვიბრძოლო, რაც ჩემი ქვეყნისთვისაა მნიშვნელოვანი!

— ...ტატუ გაქვს?

— არა, არ მომწონს. თუ მომინდება, გავიკეთებ...

— მოდი, ახლა კითხვა შენ დამისვი...

— რეფორმატორებს რას შემატებდი და ჩემში რა არ მოგწონს?

— ჯერ ერთი, იდეა ფული ღირს... მეორე, ის არ მომწონს, რომ „სითი პარკის“ გარდა, არაფერს აპროტესტებ!

— სააფთიაქო მონოპოლია რომ გავაპროტესტეთ, არ ნახე? ხელისუფლების უგნურ პოლიტიკასაც ვაპროტესტებთ. ჩვენ ძალიან ბევრ საკითხს ვაპროტესტებთ! ისე, ორიენტირებულნი არ ვართ, წინასაარჩევნოდ ხალხს ფული დავურიგოთ ან ცხვარი მივუყვანოთ. ამის საშუალება რომც მქონდეს, არასოდეს გავაკეთებ. ხალხს კონკრეტულ იდეასა და გეგმას შევთავაზებ! სხვათა შორის, ოპოზიციაში თავს კომფორტულად ვგრძნობ!

— „20/30“-ის წევრობა და მაღალი ანაზღაურება რომ შემოგთავაზონ, დათანხმდები?

— არა. „ქართული ოცნებისგან“ შეთავაზება მივიღე — ერთ-ერთ მაღალ თანამდებობაზე ვინიშნებოდი, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან ჩემი და „ქართული ოცნების“ პოლიტიკა რადიკალურად განსხვავდება. ისე, მიმიშვით დებატებში ნაციონალებთან, „ქართულ ოცნებასთან“ და სხვა რეალობას ნახავთ — რეფორმატორები საქართველოში ერთ-ერთი მოწინავე პარტია იქნება!

— ირაკლი, ბოლო სიტყვა მითხარი, თორემ გაცივდა „აჭარული“ და გემო აღარ ექნება...

— დიდი მადლობა ყურადღებისთვის...

— წარმატებებს გისურვებ!

მაია მიშელაძე
593-51-90-12

სახელმწიფო ქონების განიავების სკანდალური ფაქტები ხადურის უწყებაში

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს აუდიტი ჩაატარა და სხვადასხვა სახის დარღვევა აღმოაჩინა. აუდიტის პერიოდში, თანამდებობა დატოვა მომსახურების სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა, ზურაბ ახალკაციშვილმა. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა საქართველოს მთავარ პროკურატურას ის მასალები, რაც მომსახურების სააგენტოში ჩატარებული კვლევის შედეგად გამოავლინა, უკვე გადაუგზავნა. აუდიტი ეხება 2012-2013 წლების პერიოდს, როდესაც მომსახურების სააგენტოს გრიგოლ ბაიბურთი და გიორგი ჯავახიშვილი ხელმძღვანელობდნენ. 2013 წელს სწორედ გიორგი ჯავახიშვილი შეცვალა ზურაბ ახალკაციშვილმა. ამის შემდეგ, გიორგი ჯავახიშვილი მხოლოდ ფინანსთა მინისტრის მოადგილის პოსტს იკავებდა. რამდენიმე თვის წინ, როცა რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს, ასევე თბილისის მერიის მაღალჩინოსნები ხმაურიან სკანდალებში გაეხვივნენ, რასაც მათი დაპატიმრება მოჰყვა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ გიორგი ჯავახიშვილმა ფინანსთა მინისტრის მოადგილის პოსტი დატოვა. უცნობია, აქვს თუ არა კავშირი ჯავახიშვილს ჩაშლილ ტენდერებსა და მაღალჩინოსნების დაკავებასთან, მაგრამ გამორიცხული არ არის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნაში აღმოჩენილი დარღვევების გამო მისი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგეს.

სკანდალური ფაქტები მომსახურების სააგენტოში

როგორც აღვნიშნეთ, ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა, ზურაბ ახალკაციშვილმა თანამდებობა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე დატოვა, თუმცა განაცხადა, რომ მის უწყებაში კანონი არ დარღვეულა, მაგრამ თანამდებობა მაინც დატოვა, რადგან აუდიტისთვის ხელი არ შეეშალა. აღსანიშნავია, რომ ახალკაციშვილს ნეპოტიზმშიც ადანაშაულებდნენ.

მომსახურების სააგენტოს გენერალური დირექტორის პოსტზე ზურაბ ახალკაციშვილი 2013 წელს დანიშნეს, მანამდე ამ სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილე იყო. მედიაში რამდენჯერმე გავრცელდა ინფორმაცია მომსახურების სააგენტოს გენერალური დირექტორის მოადგილის, გელა ხანიშვილის შესახებაც, რომელიც რამდენიმე კომერციულ ობიექტში წილს დღემდე ფლობს. მეტიც, გელა ხანიშვილი მევახშეობდა და ვალის სანაცვლოდ, ადამიანებს საცხოვრებელს ართმევდა.

13-15 მაისს, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის — „იბიარდის“ ყოველწლიურ საერთაშორისო კონფერენციას წელს თბილისი უმასპინძლებს. ღონისძიებას მსოფლიოს 50-ზე მეტი ქვეყნის ფინანსთა მინისტრი და ცენტრალური ბანკების ხელმძღვანელები, ასევე ცნობილი ბიზნესმენები დაესწრებიან. VIP სტუმრების დასახვედრად, საქართველომ ბიზნესკლასის — TOYOTA CAMRY-ის მარკის 67 ახალი ავტომობილი, 4 700 000 ლარად შეიძინა. ამ პროექტს გელა ხანიშვილი ხელმძღვანელობდა.

50%-დან 367%-მდე გაზრდილი პრემიები

ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს ხარჯთაღრიცხვის თავდაპირველ დამტკიცებულ გეგმაში ისეთი თანხები იყო შეტანილი, რომელიც საერთოდ არ დახარჯულა ან გეგმით გათვალისწინებულზე გაცილებით ნაკლები დაიხარჯა. ხარჯთაღრიცხვების ცვლილებების შედეგად, თანხის უმეტესი ნაწილი პრემიების ზრდაზე დახარჯეს. სააგენტოს მიერ სარესტორნე მომსახურებაზე გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტებიც მნიშვნელოვანი ხარვეზებით ხასიათდება. კერძოდ, ამ დოკუმენტების მიხედვით, მოწვეული სტუმრების იდენტიფიცირება და მათი რაოდენობის დადგენა შეუძლებელია. გარდა ამისა, მომსახურების სააგენტოს ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტებში მთელი რიგი დარღვევები გამოვლინდა: ფინანსთა სამინისტროსთვის წარდგენილ ანგარიშებში, სააგენტომ 2012 და 2013 წლებში, არასწორად (ზედმეტად) ასახა სახელმწიფო საკუთრებაში მიქცეული ნივთმტკიცებები ფულადი კუპიურების სახით, სულ 3 609 500 ლარის ოდენობით; დასუფთავებასა და სანიტარულ მომსახურებაზე გამოცხადებულ, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერში გამარჯვებული პირები დღგ-ს გადამხდელები არ იყვნენ, რის გამოც ტენდერში მონაწილე სხვა პრეტენდენტებთან შედარებით, მათ ხელოვნურად შეექმნათ უპირატესობა და მომსახურების სააგენტოსგან ზედმეტად 6 000 ლარი მიიღეს.

2012 წელს, მომსახურების სააგენტოს ხარჯთაღრიცხვის დამტკიცებული გეგმა 5 183 000 ლარით განისაზღვრა. წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებებით, დაზუსტებულმა ხარჯთაღრიცხვამ 4 970 000 ლარი შეადგინა. აუდიტით დადგინდა, რომ თავდაპირველად დამტკიცებულ გეგმაში ისეთი ხარჯები იყო შეტანილი, რომლებიც საერთოდ არ დახარჯულა, ან გეგმით გათვალისწინებულზე ბევრად ნაკლები დაიხარჯა. მაგალითად, ხარჯთაღრიცხვის გეგმით, „გაყვანილობებისა და დანადგარების შენახვა-შეკეთებისთვის“ გათვალისწინებული 9 000 ლარი „არაფინანსური აქტივების“ მუხლში გადაიტანეს; საკონსულტაციო მომსახურებისთვის (მარკეტინგული კვლევა და თარგმნა) გათვალისწინებული 38 000 ლარიდან, 36 000 ლარი „სხვა საქონლისა და მომსახურების მუხლში“ გადაიტანეს, 1 700 ლარი — პრემიის მუხლში, დარჩენილი 300 ლარი კი არ დაუხარჯავთ.

2012 წლის განმავლობაში, ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმების, შრომის ანაზღაურების მუხლი 677 300 ლარით გაიზარდა, მათ შორის, ხელფასი — 147 300 ლარით, პრემია — 530 000 ლარით. 2012 წელს, მომსახურების სააგენტოში შრომის ანაზღაურების საკასო ხარჯმა 1 958 500 ლარი შეადგინა, აქედან ხელფასის სახით 1 136 900 ლარი (58%), პრემიის სახით კი 821 600 ლარი (42%) დაიხარჯა. იყო შემთხვევები, როდესაც ზოგ თანამშრომელზე ხელფასზე მეტი ოდენობის პრემია გაიცემოდა, მეტიც, ცალკეულ შემთხვევაში, პრემია ხელფასის 200% შეადგენდა.

2013 წელს განხორციელებული ცვლილებით, პრემიის მუხლიდან, დანამატის მუხლში 107 000 ლარი ისე გადაიტანეს, კონკრეტულ პირებზე დანამატის დაწესების დამადასტურებელი ბრძანება ან დოკუმენტი სახელმწიფო აუდიტორებს ვერ წარუდგინეს. ხარჯთაღრიცხვით, თავდაპირველ გეგმასთან შედარებით, შრომის ანაზღაურების მუხლი 448 300 ლარით გაიზარდა, აქედან ხელფასი — 93 300-ით, პრემია კი 356 000 ლარით. 2013 წელს, მომსახურების სააგენტოში შრომის ანაზღაურების საკასო ხარჯმა 2 776 800 ლარი შეადგინა, აქედან ხელფასი 1 720 800 (62%), პრემია 1 056 000 ლარი (38%). იყო შემთხვევები, როდესაც სააგენტოს რიგ თანამშრომლებზე ხელფასისა და ხელფასზე მეტი ოდენობის პრემია გაიცემოდა. 2013 წლის დეკემბერში, მომსახურების სააგენტოს თანამშრომელზე, ხელფასის 367%-ის ოდენობის პრემია გაიცა.

2013 წლის განმავლობაში, ყოველთვიურ პრემიებს, ძირითადად, მომსახურების სააგენტოს დირექტორი, მისი მოადგილეები და სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელი იღებდა. აუდიტის პერიოდში, ყოველთვიურად, მათზე გაცემული პრემიის ოდენობა 50%-დან 367%-ის ფარგლებში მერყეობდა. 2012 წელს, სააგენტოს დირექტორის, მისი მოადგილეებისა და სხვადასხვა სამსახურის ხელმძღვანელზე 337 000 ლარის (41%) პრემია, 2013 წელს კი 472 400 ლარის (45%) პრემია გაიცა.

დარღვევები ინტერნეტაუქციონზე და ირეალური ნაშთები

აუდიტის პერიოდში, სავაჭრო მაღაზიების საშუალებით, მომსახურების სააგენტომ 2 143 668 ლარის ღირებულების პროდუქციის რეალიზება განახორციელა. 2013 წლის 26 აგვისტოს, საქართველოს ტერიტორიაზე უკანონოდ შემოტანილი 80 ცალი მობილური ტელეფონი — Iphone 5 და ერთი ცალი პლანშეტური კომპიუტერი — IPAD, მომსახურების სააგენტომ სახელმწიფო საკუთრებაში მოაქცია. 80 ცალი მობილური ტელეფონიდან, 63 ერთეული, სხვადასხვა საბიუჯეტო ორგანიზაციას უსასყიდლოდ გადასცეს. მათ შორის, 19 ცალი გადაეცა ფინანსთა სამინისტროს, 20 ცალი — ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს, ორ-ორი — ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოსა და ფინანსთა სამინისტროს ანალიტიკურ სამსახურს, დარჩენილი 17 ერთეული კი უშუალოდ სავაჭრო მაღაზიამ ისე გაყიდა, ეს მობილური ტელეფონები ინტერნეტაქუციონზე არ გასულა.

ინტერნეტაუქციონზე გატანის გარეშე, სავაჭრო მაღაზიის საშუალებით, რეალიზებულია ოქროს ნაკეთობები ძვირფასი ქვებით. საქართველოს ფინანსთა მინისტრის 771-ე ბრძანებით დამტკიცებული წესით, ქონების განკარგვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მომსახურების სააგენტოს გენერალური დირექტორი, მაგრამ ამ შემთხვევაში, სააგენტოს არ უმსჯელია სათანადოდ, განკარგვის რომელი ფორმა იქნებოდა ეკონომიკურად გამართლებული.

მომსახურების სააგენტოს აუდიტის პერიოდში, ინტერნეტაუქციონის საშუალებით, რეალიზებული აქვს 8 069 332 ლარის ღირებულების, სხვადასხვა დასახელების საქონელი. ინფორმაციის შესწავლისას, სახელმწიფო აუდიტორებმა ისეთი შემთხვევები გამოავლინეს, როდესაც აუქციონზე გაყიდული ქონების ფასნამატი 100%-ზე მეტად აღემატებოდა მის თავდაპირველ ღირებულებას.

მომსახურების სააგენტოს მიერ სახელმწიფო აუდიტორებისთვის წარდგენილი ინფორმაციის მიხედვით, 2012, 2013 და 2014 წლების 1 იანვრის მდგომარეობით, ელექტრონულ პროგრამა ERP-ში, დიდი ოდენობით სხვადასხვა დასახელების მოძრავი საქონელი ნაშთად ერიცხება, მათ შორის დიდი ოდენობით საწვავი, მანქანები, ალკოჰოლური სასმელი, მედიკამენტები. ამ ინფორმაციის ანალიზის შედეგად, სახელმწიფო აუდიტორებმა დაადგინეს, რომ ელექტრონულ პროგრამა ERP-ში არსებული ნაშთები რეალობას არ ასახავს. 2014 წლის 1 იანვარს, მომსახურების სააგენტოს ნაშთებში ისეთი საქონელი ირიცხება, რომელიც წინა წლებში განკარგეს. მაგალითად, ნაშთებში ირიცხება 69 110 ლიტრი საწვავი, რომელიც სახელმწიფო საკუთრებაში 2011 მოექცა და ამავე წელს, იუსტიციის სამინისტროს გადაეცა; 2014 წლის ნაშთებში ირიცხება თანხის ის ოდენობაც, რომელიც 2010 წელს, სახელმწიფო საკუთრებაში მოექცა — 32 590 ლარი, 145 თურქული ლირა და 1 300 აშშ დოლარი, 2011 წელს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაირიცხა; 2011 წელს, სახელმწიფო საკუთრებაში მოექცა 18 153 და 18 138 ლიტრი საწვავი, რაც 2011 წლის 5-6 ივლისს, მომსახურების სააგენტომ გაყიდა; ავტომობილი AUDI A6, სამივე წლის ნაშთად ირიცხება, არადა, ეს ავტომობილი სახელმწიფო საკუთრებაში 2011 წელს მოექცა და იმავე წელს, უსასყიდლოდ გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს; ავტომანქანა LEXUS RX-350, სახელმწიფო ნომრით TG-1108, სახელმწიფო საკუთრებაში 2011 წელს მოაქციეს და იმავე წელს, შინაგან საქმეთა სამინისტროს გადასცეს; ავტომობილი BMW X6, სახელმწიფო ნომრით SMS-878, სახელმწიფო საკუთრებაში მოექცა 2011 წელს და იმავე წელს, უსასყიდლოდ გადასცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს; ავტომანქანა „მაზი“, სახელმწიფო ნომრით DAH-456, მომსახურების სააგენტომ 2012 წელს მიიღო და იმავე წელს, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის გამგეობას უსასყიდლოდ გადასცა. სწორედ ამ ინფორმაციების საფუძველზე, სახელმწიფო აუდიტორებმა დაასკვნეს, რომ აუცილებელია ელექტრონულ პროგრამა ERP-ში ასახული ქონების ნაშთების სრული ინვენტარიზაცია, რათა მათი რეალობა დადგინდეს.

არჩილ თალაკვაძე თავისუფალ უნივერსიტეტს ეწვია

შს მინისტრის მოადგილე არჩილ თალაკვაძე საჯარო ლექციის ჩასატარებლად თავისუფალი უნივერსიტეტის საჯარო პოლიტიკის ფაკულტეტის სტუდენტებმა მიიწვიეს. სტუდენტების ინტერესის სფერო იყო საჯარო პოლიტიკა, საჯარო სექტორში საქმიანობის გამოცდილება და სასჯელაღსრულების სისტემაში განხორციელებული ჯანდაცვის რეფორმა.

არჩილ თალაკვაძე სტუდენტებს რეფორმის დაგეგმვის, განხორციელების და შედეგების შესახებ ესაუბრა. ასევე წარმოადგინა არგუმენტები, დაფინანსებისა და მართვის მოდელები, რომელსაც აღნიშნული რეფორმა დაეფუძნა.

მინისტრის მოადგილეს სტუდენტებმა კითხვები პოლიციის საქმიანობასთან დაკავშირებითაც დაუსვეს, რაზეც არჩილ თალაკვაძემ ამომწურავი პასუხები გასცა.

„ვერსიანიუსი“

რა კითხვებზე მოუწევს პასუხის გაცემა ბუბა კუდავას

ნინო ლურსმანაშვილი
593-51-52-04

განათლების სამინისტროსა და მისი საჯარო სამართლის იურიდიული პირის (სსიპ), ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობას შორის დაპირისპირება ისეთ ფაზაში შევიდა, რომ მინისტრთა კაბინეტის ცვლილების ფონზეც აქტუალურ თემად რჩება. დაპირისპირებამ კულმინაციას მას შემდეგ მიაღწია, რაც ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა ბუბა კუდავამ განათლების მინისტრი მის მიმართ მიზანმიმართულ ბრძოლაში საჯაროდ დაადანაშაულა და ცენტრის ხელმძღვანელთა თუ თანამშრომელთა მიზერულ ხელფასებზეც ისაუბრა. ბუბა კუდავა ამტკიცებს, რომ ცენტრში, განათლების სამინისტროს სხვა სსიპ-ებისგან განსხვავებით, არაადეკვატური ხელფასებია და თანამშრომლებისთვის დანამატების გაცემის უფლებასაც არ აძლევენ. მისივე თქმით, ცენტრის მწირი ბიუჯეტი იმაზე მეტყველებს, რომ განათლების სამინისტროს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მნიშვნელობა გააზრებული არ აქვს.

თამარ სანიკიძემ ბუბა კუდავას ბრალდებებს უპასუხა, ცენტრის დირექტორის თანამდებობაზე კონკურსი გამოაცხადა და თანამშრომლების ანაზღაურებაც გაასაჯაროვა, რომელიც მისი თქმით, ბუბა კუდავას მიერ დასახელებულ თანხებს, რეალურად, 3-4-ჯერ აღემატება.

„ხელნაწერთა ინსტიტუტში არსებული მდგომარეობა, 2006 წლიდან, ანუ იმ პერიოდიდან მომდინარეობს, როდიდანაც ბუბა კუდავა დირექტორია. არსებული პრობლემების მოგვარება 2012 წელს, მთავრობის შეცვლის შემდეგ დავიწყეთ. პრობლემა იყო, პირველ რიგში საცავების უსაფრთხოება, რომლის მოწესრიგებასაც დღემდე უზრუნველვყოფთ — ახლა მიმდინარეობს უამრავი სამუშაო, რაც საცავების უსაფრთხოებას უზრუნველყოფს. მათ შორის, ელექტროგაყვანილობის შეცვლა, რაც ტენდერზეა გატანილი. ამ პრობლემების მოგვარება უმნიშვნელოვანესია, რადგან ვიცით, რა საგანძურიც გვაქვს და მას ადეკვატური მოვლა სჭირდება. კუდავა 2006 წლიდან არის ცენტრის დირექტორი, მაგრამ მან პრობლემების აღმოფხვრა, ჩვენი დახმარების გარეშე, რეალურად ვერ შეძლო, თუმცა, როგორც ჩანს, მისი უკმაყოფილების ძირითადი მიზეზი ანაზღაურებაა. მნიშვნელოვანია, როგორ არეგულირებდა ანაზღაურების საკითხს დანამატების გაცემის მეშვეობით. როდესაც ჩავიხედეთ დოკუმენტებში, გაოცებული და შეურაცხყოფილი დავრჩი — ის დისკრიმინაციული მიდგომა, რომელსაც ახორციელებდა თანამშრომლების მიმართ და რომლის მიხედვითაც ანაწილებდა ყოველთვიურ ანაზღაურებას, არ არის ნორმალური. ამაზე მას უარი ვუთხარით. დავავალეთ, დაეწყო სახელფასო პოლიტიკის მოწესრიგება იმ ნამატით, რაც მას ბიუჯეტში გავუჩინეთ. ჩნდება კითხვა: რატომ მოხდა, რომ მის მძღოლსა და ზოგიერთ მის ფავორიტ თანამშრომელს ერთი, ორი და სამი ხელფასისოდენა დანამატი აქვთ, მეცნიერ-თანამშრომლებს კი დანამატი ან საერთოდ არ აქვთ, ან 100 ლარს არ აღემატება? არადა, ეს დაწესებულება, სწორედ ამ მეცნიერ-თანამშრომლებზე დგას. ვფიქრობ, ეს არის დისკრიმინაცია და ამის გაგრძელების უფლებას მას არ მივცემთ. გამომდინარე იქიდან, რომ მათი ბიუჯეტი 2014 წელს გაორმაგდა, მარტივად შეიძლებოდა ამ პრობლემის გადაჭრა. ცნობილია, რა გაკეთდა კვლევითი დაწესებულებებისა თუ მეცნიერთა ხელფასების მომატების მხრივ და ეს ნამატი საჭიროებისამებრ უნდა მიმართულიყო“, — აცხადებს **თამარ სანიკიძე** და დასძენს, რომ საბიუჯეტო სახსრები, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ერთადერთი შემოსავალი არაა და მას რეგულარული გრანტებიც აქვს: **„სახელფასო საკითხზე ანალიზის გაკეთებისას, გაჩნდა კითხვები. ბუბა კუდავა ამბობს, რომ მისი ანაზღაურება 450 ლარია. არადა, რეალურად, მისი საშუალო შემოსავალია 3 200 ლარამდეა. ასევეა რამდენიმე დეპარტამენტის და მეცნიერთანამშრომლის ხელფასიც, მაგრამ აქაც დისკრიმინაციული მიდგომა იკვეთება. ამ ფონზე, ვსვამ კითხვას: ამდენი ხნის განმავლობაში ეს ადამიანი კანონს უხეშად არღვევს და რატომ ჰყავს ჩრდილში მეცნიერ-თანამშრომლები, ვისზეც რეალურად დგას ეს ცენტრი?“.**

ეს ერთადერთი კითხვა არაა, რომელიც თამარ სანიკიძეს ბუბა კუდავას მიმართ უჩნდება. მინისტრის თქმით, სამინისტროს შიდააუდიტი ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის საქმიანობას სწავლობს და შემოწმების დასრულების შემდეგ, ცენტრის „აბუნტებულ“ დირექტორს, უფრო სწორად, უკვე დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს, პასუხის გაცემა, სავარაუდოდ, კიდევ ბევრ სერიოზულ კითხვაზე მოუწევს.

მანამდე კი, „ვერსია“ **ბუბა კუდავას** უკვე არსებულ კითხვებზე პასუხის მისაღებად დაუკავშირდა. დასკვნების გამოტანა, მკითხველისთვის მიგვინდია.

— ბატონო ბუბა, ხელფასი მართლა 392 ლარი გაქვთ?

— ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს, სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნის შესაძლებლობებისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ზოგადსახელმწიფოებრივი თუ ზოგადსაკაცობრიო მნიშვნელობისთვის სრულიად შეუფერებელი და არაადეკვატური ბიუჯეტი — 7, 895 ათასი ლარი აქვს. ჩვენთან 110 თანამშრომელი მუშაობს და ჩვენთან არსებული უმნიშვნელოვანესი საგანძურის დაცვა, მოვლა, შენახვა, კვლევა, პოპულარიზება, ექსპონირება, გამოცემა, რესტავრაცია, თურმე, ამ წლიური ბიუჯეტით, უნდა მოვახერხოთ, რაც შეუძლებელია. ამ თანხით ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა მინიმალური ანაზღაურებისა და ელემენტარული საოფისე თუ კომუნალური ხარჯების დაფარვას ვახერხებდით, ყველა სერიოზულ პროექტს — საგამომცემლო, საგამოფენო, სარესტავრაციო თუ სხვა, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის მიერ კონკურსით ან პირადი, ინსტიტუციური მოლაპარაკებების გზით მოზიდული თანხებით ვახორციელებთ. დღეს, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის თანამშრომელთა შრომის ანაზღაურება 200-დან 490 ლარამდე მერყეობს. ამას მინუს 20% საშემოსავლო გადასახადი. შესაბამისად, დირექტორს ხელზე დაახლოებით 390 ლარი აქვს.

— ეს ოფიციალური ხელფასია, მაგრამ რატომ არ ახსენებთ გრანტებს და სხვა წყაროებიდან მოპოვებულ თანხებს, რომლისგანაც წესით, მეცნიერთა ხელფასები შედგება? თქვენს უწყებას ხომ რეგულარული გრანტები აქვს მთელი წლის განმავლობაში, მათ შორის შოთა რუსთაველის სახელობის ფონდიდანაც, რომელიც, სხვათა შორის, განათლების სამინისტროს სსიპ-ია?

— რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი, საბედნიეროდ, პერიოდულად სამეცნიერო საგრანტო კონკურსებს აცხადებს. კარგია, რომ ეს ფონდი არსებობს, რომელიც სამეცნიერო პროექტების დასაფინანსებლად, სამწუხაროდ, დღეს, ფაქტობრივად, ერთადერთი რეალური რესურსია. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი თითქმის ყველა საგრანტო კონკურსში მონაწილეობს. ყოველთვის ვაქტიურობთ. რუსთაველის ფონდში შეტანილი ჩვენი პროექტების დაახლოებით 10-20% გამარჯვებულია. ყველა საგრანტო დაფინანსება კონკურსში გამარჯვების გზით გვაქვს მიღებული. გრანტები, ერთი მხრივ, გვაძლევს საშუალებას, განვახორციელოთ ის უმნიშვნელოვანესი პროექტები, რომელთა განხორციელება, ჩვენი ბიუჯეტით, არასათანადო საბაზო დაფინანსების გამო, შეუძლებელია და მეორე მხრივ, თანამშრომლებს ჰქონდეთ დამატებითი ანაზღაურება.

— ესე იგი, თანამშრომლებს დამატებითი ანაზღაურება ჰქონიათ და მუშაობა 200-300 ლარზე, ენთუზიაზმზე არ უწევთ!

— ეს თანამშრომლებისთვის, ამავდროულად, დამატებითი სამუშაოცაა. ეს პროექტები ჩვენი ძირითადი საქმიანობის მიღმა სრულდება.

— გასაგებია. დანამატებს ისინი იღებენ, ვინც ამ პროექტების განხორციელებაში უშუალოდ მონაწილეობს?

— ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ადმინისტრაცია, წლების განმავლობაში, მათ შორის განათლების დღევანდელი მინისტრის მუშაობის პერიოდში, მუდმივად აყენებდა მწირი ბიუჯეტისა და თანამშრომელთა დაბალი ხელფასების საკითხს. ჩვენი ამდენი მცდელობისა და იმის მიუხედავად, რომ განათლების მინისტრმა ოფიციალურად მოახდინა დეკლარირება, საქართველოში მეცნიერებს, 2015 წლის 1 იანვრიდან, დაფინანსება 259%-ით ეზრდებათო, ჩვენ არაფერი მოგვმატებია. შესაბამისად, არსებულ მძიმე ეკონომიკურ პირობებში, ერთადერთი გამოსავალია, გარკვეული პრინციპით შევარჩიოთ თანამშრომელთა ნაწილი, რომელსაც მივცემთ სახელფასო დანამატს. საშუალება რომ გვქონდეს, დანამატებს კი არ გავცემდით, ხელფასებს გავზრდიდით.

— რა პრინციპით არჩევთ თანამშრომლებს, რომლებიც დანამატებს იღებენ — უპირატესობას მეცნიერ-თანამშრომლებს ანიჭებთ თუ ადმინისტრაციას?

— 8000 ლარი 35 თანამშრომელზე ნაწილდება. ეს პრაქტიკა დაახლოებით ბოლო 1 წელია, არსებობს. დანამატები მათ ეძლევა, ვისაც განსაკუთრებული დატვირთვა, პასუხისმგებლობა აქვთ და ვისაც, მეცნიერ-თანამშრომლებისგან განსხვავებით, არ აქვთ საშუალება და დრო, მიიღონ საგრანტო კონკურსებში მონაწილეობა. მათ, მეცნიერ-თანამშრომლების მსგავსად, არც შედარებით თავისუფალი გრაფიკი აქვთ და პარალელურად, სხვაგან არ არიან დასაქმებულნი. დილიდან საღამომდე აქ მუშაობენ და საპასუხისმგებლო საქმეს ასრულებენ.

— ვინაა ეს 35 ადამიანი, სწორედ ამას გეკითხებით.

— მაგალითად, ხელნაწერთა საცავის, სამკითხველო დარბაზის მცველები, გამოფენისა და განათლების სპეციალისტები ანუ ის კატეგორია, რომელთაც უშუალო ურთიერთობა აქვთ ხელნაწერებთან და შესაბამისად, უზარმაზარი პასუხისმგებლობა აკისრიათ; პარალელურად, ის დამხმარე პერსონალი, რომელთა აქ მუშაობა 200 და 300 ლარად შეუძლებელი იქნებოდა. ასეთები არიან, მაგალითად, ფინანსისტი, იურისტი... ეს ასეთ პოზიციებზე ადამიანების შენარჩუნების დროებითი საშუალებაა.

— და რამდენია, მაგალითად, ფინანსისტის ანაზღაურება? მინისტრი ამბობს, რომ ეს თანხა ხელფასის 3-4 ოდენობას აღწევს. ჩვენი ინფორმაციით კი, თქვენთან ფინანსისტი თვეში საშუალოდ 2000 ლარს იღებს, მძღოლი — 850-ს, დეპარტამენტის ხელმძღვანელი კი 1 900-ს.

— არ ვარ მზად, ამ ციფრებზე გიპასუხოთ. ეს აბსოლუტური ტყუილია. დეპარტამენტის ხელმძღვანელი არ იღებს მაგდენს. მძღოლი კი, დანამატიანად, 850 ლარს, მინუს 20%, იღებს. ხელზე რამდენი რჩება, თქვენ გამოიანგარიშეთ. სხვათა შორის, განათლების სამინისტროს სხვა სსიპ-ებისგან განსხვავებით, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელს არ ჰყავს მძღოლი და მთელ დაწესებულებას ერთადერთი მძღოლი ემსახურება. ის, პარალელურად კურიერიცაა, შაბათ-კვირასაც უწევს მუშაობა, აეროპორტშიც ხვდება ხოლმე სტუმრებს და ამ ფონზე ეს მინიმალური ანაზღაურებაა. შეადარეთ განათლების სამინისტროს სხვა სსიპ-ების მძღოლების ხელფასებს და დარწმუნდებით.

— ე.ი. მძღოლი, დანამატიანად, 850 ლარს იღებს. თქვენი ანაზღაურება რამდენია, დანამატებიანად, დაახლოებით 3200 ლარი?

— ხაზგასმით აღვნიშნავ, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორს, მისი 9-წლიანი მუშაობის მანძილზე, არც ერთხელ აუღია არც დანამატი და არც პრემია.

ჩემი ხელფასი, ჩემი სახელმწიფო ანაზღაურება, გახლავთ 490 ლარი მინუს 20%.

— რა მნიშვნელობა აქვს, პრემია დაერქმევა თუ დანამატი? სახელმწიფო ხელფასზე არ გეკითხებით. სხვადასხვა წყაროებიდან მიღებულ თანხებს ხომ ანაწილებთ ხელფასებზეც? ამ წყაროებიდან მიღებული თქვენი ანაზღაურება, 3 200 ლარს აღწევს თუ არა?

— იცით, რა, ჩვენ, ჩვენი პროტესტისას, არ გვისაუბრია ჩემს პირად შემოსავლებზე.

— პირად შემოსავალზე საუბარი არაა, როცა ამბობთ, ცენტრის დირექტორს მიზერული ანაზღაურება აქვსო?

— იცით რა, თუ ძალიან აინტერესებს სახელმწიფოს, მე ჩემი ოჯახის ხარჯზე ვარსებობ. არასოდეს დამისვამს საკითხი ჩემს პირად შემოსავალზე. საუბარია იმაზე, რომ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორს და თანამშრომლებს აქვთ სრულიად არაადეკვატური ანაზღაურება.

— ანუ იმ 390 ლარზე ცხოვრობთ, რომელსაც ხელნაწერთა ცენტრში ხელზე იღებთ?

— თუკი რაიმე სხვა ანაზღაურება მაქვს, ეს მხოლოდ პირადად ჩემი დამსახურებაა. ჩემი მუშაობით, ჩემი აქტიურობით, სხვადასხვა სფეროში მიღებული შემოსავალი. მეთოდოლოგიურად არასწორია, ახლა ვისაუბრო, განათლების მინისტრის და მისი ოჯახის წევრების შემოსავლებზე. ამაზე არ ვსაუბრობთ. ჩვენ ვსაუბრობთ, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არაადეკვატურად დაბალ სახელმწიფო ბიუჯეტზე და დაბალ ხელფასებზე. სამწუხაროა, რომ განათლების სამინისტრო, იმის მაგივრად, რეალურად დაკავებული იყოს ხელნაწერთა ცენტრის წინაშე მდგარი უზარმაზარი პრობლემების მოგვარებით, 2 თვეა, 35 კაცზე 8 ათასი ლარის განაწილების საკითხზე მსჯელობს.

— იმიტომ, რომ ხელფასებსა და დანამატებზე საჯაროდ თქვენ ისაუბრეთ და სატელევიზიო სიუჟეტებში არც ახსენეთ, რომ ოფიციალური ხელფასების გარდა, ცენტრის თანამშრომლებს გრანტებიდან და სხვადასხვა წყაროდან მიღებული თანხებიც აქვთ.

— ქალბატონო ნინო, ვიმეორებ, ჩვენ თუ რამე დაფინანსებას მოვიპოვებთ, ამას ვაკეთებთ ჩვენი ძალებით, აქტიურობით, შრომით, კვალიფიკაციით, კონკურსებში მონაწილეობით, საკონკურსო პრინციპით. ჩემი ანაზღაურება არ აღწევს თქვენ მიერ დასახელებულ ციფრს. საერთოდ, რაზე ვსაუბრობთ, მაინტერესებს. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს საბაზო დაფინანსება აქვს გაცილებით ნაკლები, დაახლოებით 10-ჯერ ნაკლები, ვიდრე, მაგალითად საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკას. სახელმწიფო ბიუჯეტზე ვსაუბრობთ. თუკი დამატებით რამე მოვიპოვეთ, ეს ჩვენი დამსახურებაა და არა — სამინისტროსი. დამატებითი სახსრები რომ არ მოგვეპოვებინა, ვერც ვიარსებებდით. თუ იმის გარკვევა გინდათ, საგრანტო კონკურსები რა პრინციპით ტარდება, შეგიძლიათ მიმართოთ რუსთაველის ფონდს.

— რუსთაველის ფონდიდან მიღებული გრანტების ოდენობით აუცილებლად დავინტერესდები. ახლა იმის გარკვევა მინდა, რატომ არ აცნობეთ საზოგადოებას რეალური ციფრები? რატომ არ თქვით, რომ დანამატებიც აქვთ თანამშრომლებს და რატომ ანაწილებთ ამ გრანტებს, „შერჩევის“ პრინციპით და არა — მეცნიერ-თანამშრომლებზე?

— კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ჩვენ ვსაუბრობდით ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის არაადეკვატურად დაბალ სახელმწიფო ბიუჯეტსა და არაადეკვატურად დაბალ სახელმწიფო ხელფასებზე, რომელიც არ შეესაბამება სხვა დაწესებულებებისა და განათლების სხვა სსიპ-ებში მომუშავე თანამშრომელთა ხელფასებს. დაახლოებით 10-ჯერ ნაკლებია ეს თანხა. თუკი ცენტრის ადმინისტრაცია, მისი თანამშრომლები, ახერხებენ თავიანთი აქტიურობით დამატებითი დაფინანსების მოპოვებას, ეს სამინისტროსთან კავშირში არაა. ეს ჩვენზე დადებითად მეტყველებს. სხვათა შორის, ხელნაწერთა ეროვნული ცენტი ხშირად ახორციელებს სხვადასხვა დაფინანსებით მოპოვებულ ისეთ პროექტს, რომელშიც არც ერთი თეთრი არაა ჩადებული ანაზღაურება. მთელი დაფინანსება ხმარდება კონკრეტული პროდუქტის (გამოფენა, გამოცემა, რესტავრაცია...) შექმნას. ამითაც დაინტერესდით, რამდენი პროექტი გვაქვს განხორციელებული, რომელშიც თანამშრომლებს ანაზღაურება არ აუღიათ.

— მეცნიერ-თანამშრომლების ანაზღაურებაზე არ მიპასუხეთ. თუკი გრანტებიდან მიღებულ თანხებს, დანამატების სახით, საცავის მცველებზე, ფინანსისტსა და სხვა თანამშრომლებზე არიგებთ, მეცნიერები გრანტებიდან რაღას იღებენ?

— გააჩნია საგრანტო პროექტს. საგრანტო პროექტში, თუ სწორად მახსოვს, განსაზღვრულია მინიმალური, 200-ლარიანი ანაზღაურება. რუსთაველის ფონდს შეგიძლიათ მიმართოთ. თუ სწორად მახსოვს, 200 ლარიდან იწყება და 1250 ლარამდეა. როგორც წესი, მაღალ ხელფასებს მეცნიერები ვერ დებენ, რადგან, ეს საგრანტო დაფინანსებაც არაა დიდი და ვერ ჰყოფნის პროექტის მიზნებს. წელიწადში, ფუნდამენტური სამეცნიერო საგრანტო კონკურსის ბიუჯეტი 50 ათასი ლარია, გამოყენებითი საგრანტო კონკურსის ბიუჯეტი კი 100 ათასი ლარი.

— მერე ეს ცოტაა?

— სათქმელად თითქოს ბევრია, მაგრამ როგორც კი ამ თანხას 12 თვეზე გაყოფთ, მიღებულ რიცხვს კიდევ გაყოფთ 5-6 თანამშრომელსა და დამხმარე პერსონალზე, გაითვალისწინებთ ხარჯებს, აღმოჩნდება, რომ მეცნიერთათვის ეს ოდნავ სულის მოთქმისა და დამატებითი პროექტის განხორციელების საშუალება კია, მაგრამ საბოლოოდ, მეცნიერი ჩვენ ქვეყანაში მაინც გაცილებით დაბლა დგას თავისი ანაზღაურებით, ვიდრე სხვა სფეროს სპეციალისტები. ზოგადად, რაზე ვსაუბრობთ. ეს არის მიზანმიმართული ბრძოლა ხელნაწერთა ეროვნული ცენტრისა და მისი ხელმძღვანელის წინააღმდეგ, რადგან პრინციპული პოზიცია გამოვხატეთ სხვადასხვა მნიშვნელოვან საკითხზე. მაგალითად, კოლექციიდან ლაილაშის ბიბლიის გატანასა და ცენტრის ახალი შენობის აშენების საკითხზე. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის გვერდის ავლით, ჩვენი მოსაზრებების გაუთვალისწინებლად იღებენ გადაწყვეტილებებს, რასაც ვეწინააღმდეგებით. შესაბამისად, მიდის ბრძოლა, სრულიად ამორალური მეთოდებით. ყველაფრის არსი ესაა.

თემო მურვანიძე: „ზოგს თანამდებობა კაბინეტში ჯდომა და ჯიპით სიარული ჰგონია!“

საჯარო მმართველობის სპეციალისტის განმარტებები

ნათია აბაშიძე

კვირა არ გავა, წვრილი თუ საშუალო დონის საჯარო მოხელე კორუფციაში არ ამხილონ. ეს შესაძლოა, იმის ბრალია, რომ საქართველოში პროფესიონალი საჯარო მოხელეები არ არსებობენ. ამ მოსაზრებას, „ვერსიასთან“ საუბრისას, საჯარო მმართველობის სპეციალისტი თემურ მურვანიძეც იზიარებს, რომელსაც, სხვათა შორის, დიდი პოლიტიკური ბეგრაუნდიც აქვს. „თანამდებობა პრიზი არაა“, — ამბობს მურვანიძე და დასძენს, რომ გიორგი მარგველაშვილს ავლაბრის რეზიდენციიდან ათონელზე გადასვლა, ადრე თუ გვიან, მოუწევს.

— ბატონო თემო, რა არის საჯარო მმართველობა და არსებობენ თუ არა საქართველოში პროფესიონალი საჯარო მოხელეები?

— საერთოდ, საჯარო ადმინისტრაცია, ადგილობრივი და ცენტრალური მმართველობის დონეზე, საჯარო პოლიტიკის განშტოებების შემუშავებას, განხორციელებასა და შესწავლას ნიშნავს. შესაბამისად, საჯარო მოხელეებს ის მიზნები და ამოცანები, რის განხორციელებასაც ემსახურებიან, კარგად უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული, ანუ მოქალაქეებს მომსახურების სრული სპექტრი და მაღალი ხარისხი უნდა შესთავაზონ. ამასთან, საჯარო მოხელეებს, რომელთაც, კანონით დაკისრებულ უფლებამოვალეობებთან ერთად, რიგი ვალდებულებებიც აკისრიათ, კანონის ფარგლებში, სწორი გადაწყვეტილებების მიღება უნდა შეეძლოთ.

— სხვათა შორის, მოსახლეობა თვლის, რომ ზოგიერთი კანონი უკანონოა...

— ამ მოსაზრებას ვერ დავეთანხმები, რადგან კანონი იმ გათვლითაა შემუშავებული, მოქალაქეების ინტერესები მაქსიმალურად იყოს დაცული... მოკლედ, ყველაფერ ამას სწავლა სჭირდება, თან არა ერთწლიანი. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, სამომავლოდ, ძალიან კარგი და მაღალკვალიფიციური მმართველობითი კადრები გვეყოლება, თუმცა დღეს ასეთი ხალხი ბევრი არაა...

ბევრს საჯარო მოხელეობა ან რაიმე საქმის ხელმძღვანელობა მხოლოდ კაბინეტში ჯდომა და ჯიპით სეირნობა ჰგონია. არადა, თანამდებობა პრიზი კი არაა, რომლითაც კონკრეტული პიროვნება დააჯილდოვეს, არამედ, პირველ რიგში, საკუთარი გუნდისა და მოქალაქეების, სახელმწიფოს წინაშე პასუხისმგებლობაა, ამიტომ ყველა მოხელე ვალდებულია, მაქსიმალურად დაიხარჯოს და თავისი ცოდნა და გამოცდილება საქმეს მოახმაროს. სამწუხაროდ, საქართველოში ისეთი პრეცედენტებით, როცა ვინმე მაღალ პოსტზე უარს თავად იმიტომ ამბობს, რომ კვალიფიკაცია არ ჰყოფნის, განებივრებულნი არ ვართ.

— ბატონო თემო, ქვეყანას პროფესიონალი საჯარო მოხელეები რომ ჰყავდეს, კორუფციისა და სხვა ე.წ. საჯარო მანკიერებების, მაგალითად, ნეპოტიზმის ფაქტები შემცირდებოდა?

— პროფესიონალიზმი მანკიერ პრაქტიკას, თავისთავად, გამორიცხავს. ყოველ შემთხვევაში, იდეაში ასეა, თუმცა კორუფცია საკმაოდ ძნელი დასამარცხებელია და თითქმის ყველა განვითარებულ ქვეყანაში, გარკვეულ დონეზე, არსებობს. მთავარია, კორუფციამ ფესვები ისე არ გაიდგას, ხელი სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებას შეუშალოს. საჯარო მმართველობა გამჭირვალეობაზე, სამართლიანობის პრინციპსა და კანონის უზენაესობაზეა დაფუძნებული. კორუფცია კი სწორედ ამ მიმართულებებს ურტყამს.

მმართველობაში ნეპოტიზმიც საკმაოდ საშიში და არახელსაყრელი მოვლენაა, თუმცა ბოლო წლებში, ჩვენთან პრობლემების გაუანალიზებელი გაპიარება და არაკვალიფიციური კრიტიკაა დამკვიდრებული.

— ნეპოტიზმზე ვსაუბრობდით და ეს რა შუაშია?

— აგიხსნით: ნეპოტიზმს უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ პროფესიონალიზმი ამ კუთხითაც უნდა გავითვალისწინოთ, მაგალითად, თუ ადამიანი რომელიმე სტრუქტურაში დაკისრებულ მოვალეობებს ძალიან კარგად ასრულებს, ამასთან, კეთილსინდისიერი საჯარო მოხელეა და მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა, იმის გამო არ უნდა გავათავისუფლოთ, რომ ვიღაცის ნათესავი ან ოჯახის წევრია. როცა ადამიანი რომელიმე თანამდებობაზე მხოლოდ ვიღაცასთან ნათესაობის გამო ინიშნება, ამით საქმეს მხოლოდ საკუთარ თავს კი არა, პირველ რიგში, ნათესავსა და იმ უწყებას უფუჭებს, სადაც მოღვაწეობს. სწორედ ამიტომ მმართველობაში საკადრო პოლიტიკის სწორად წარმართვა ძალიან მნიშვნელოვანი. ადამიანების პოტენციალის სწორად დანახვასა და მათი სამოღვაწეო სფეროს განსაზღვრას ცალკე კვალიფიკაცია სჭირდება, რის ნაკლებობას განვიცდით.

— ისე, საჯარო მოხელეს აქვს თუ არა უფლება, რომელიმე პარტიის წევრი ან აქტივისტი იყოს?

— რამდენიმე უწყების გარდა, სადაც კანონი კრძალავს ან ინტერესთა კონფლიქტი არაა, საჯარო მოხელეებს აქვთ უფლება, ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის წევრები, მხარდამჭერები და აქტივისტები იყვნენ.

— ნაციონალების დროს, საჯარო მოხელეები მიტინგებზე, როგორც იტყვიან, ბითუმად დაყავდათ. ეს იმის ბრალი ხომ არ იყო, რომ საჯარო სამსახურში დასაქმებულებმა თავიანთი უფლებები არ იციან?

— ნაციონალურმა მოძრაობამ ყველაზე მანკიერი, არასწორი სისტემა შექმნა და ადამიანებს პირდაპირ აშანტაჟებდა, რომ პარტიის აქციებზე მისულიყვნენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, სამსახურს დაკარგავდნენ. სწორედ ეს მანკიერი პრაქტიკაა აღმოსაფხვრელი — საქართველოში პიროვნული თავისუფლება თითოეული ადამიანის დონეზე უნდა დამკვიდრდეს!

— ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ბატონო თემო, დღევანდელი საჯარო მოხელეების მთავარ პრობლემად რას მიიჩნევთ?

— ერთი სიტყვით ამის თქმა ძნელია, მაგრამ კვალიფიკაციასა და პროფესიონალიზმის გარდა, პრობლემა, ჩემი აზრით, თანამდებობისადმი მიდგომაცაა. წეღანაც ვთქვი, ვინმემ თანამდებობა პრიზად და საჩუქრად არ უნდა აღიქვას-მეთქი. თანამდებობა, რა თქმა უნდა, კონკრეტული ადამიანის ცოდნის, გამოცდილებისა და ბეგრაუნდის დაფასებაა, მაგრამ არავის უნდა დაავიწყდეს, რომ თანამდებობა კაბინეტსა და ჯიპს კი არა, ქვეყნის, ერისა და თანამოქალაქეებს სამსახურს ნიშნავს. თანამდებობაზე რომ ხარ, მხოლოდ პირადი კი არა, სხვების საცხოვრებელი და სამუშაო პირობებიც უნდა გააუმჯობესო!

— „ვარდების რევოლუციის“ დროს, თუ გახსოვთ, მიხეილ სააკაშვილი ამბობდა, დროა, მოვიდეს ხელისუფლება, რომელიც ხალხის შეკვეთას შეასრულებსო. დღევანდელი ხელისუფლება ხალხის შეკვეთას ასრულებს?

— დღევანდელი ხელისუფლება საკმაოდ რთულ პირობებში მუშაობს, მაგრამ მიუხედავად ამისა, დაკისრებულ მოვალეობებს თავს კარგად ართმევს. ამ თემაზე ნებისმიერ ოპონენტს შემიძლია, არგუმენტებით ვეკამათო. მნიშვნელოვანია, რომ დღევანდელი მთავრობა მმართველობის სრულიად ახალ და თანამედროვე სტანდარტებს ამკვიდრებს. ნაციონალური მოძრაობის მთავრობას ქვეყანა ასეთ ძლიერი, ოპოზიციურად განწყობილი მედისაშუალებებისა და საზოგადოების ასეთი კრიტიკის პირობებში რომ ემართა, 9 წელი ვერ გაძლებდა! სწორედ ამიტომაც იყენებდნენ ტოტალიტარულ მეთოდებს. დიახ, სააკაშვილის მთავრობას უნარი არ ჰქონდა, ქვეყანა ძლიერი ოპონირების პირობებში ემართა, რასაც „ოცნების“ მთავრობა წარმატებით ახერხებს. ეს სახელმწიფო მმართველობის კუთხით კიდევ ერთი დიდი მიღწევა და ჩვენი ქვეყნისა და საზოგადოებისთვის სრულიად ახალი პრაქტიკაა.

— თავდაცვის მინისტრად თინა ხიდაშელის დანიშვნამ აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. თქვენი აზრით, უმაღლესი თანამდებობის პირი, მაგალითად მინისტრი, აუცილებლად პოლიტიკოსი უნდა იყოს თუ წმინდა მენეჯერი?

— არსებობს მცნება — „პოლიტიკური თანამდებობის პირი“, რომელიც კანონშიც კარგადაა განსაზღვრული. თანამდებობის პირს მაღალი დონის მენეჯერული თვისებები და გამოცდილება აუცილებლად უნდა ჰქონდეს... თავდაცვის სამინისტრო ქართული სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული და მნიშვნელოვანი სტრუქტურაა და ქალბატონ თინას წარმატებას ვუსურვებ.

— პრემიერს, როგორც საჯარო მოხელეს, როგორ აფასებთ?

— როგორც ქვეყნის რიგითი მოქალაქე, პრემიერს უმაღლეს შეფასებას ვაძლევ — გარდა იმისა, ნამდვილად ღირსეული და ჭკვიანი ადამიანია, მის ნაბიჯებში ქვეყნისთვის დიდ თავდადებასა და გამბედაობას ვხედავ. სწორედ ასეთი მეთაური სჭირდება მთავრობას. ირაკლი ღარიბაშვილს მთავრობის სათავეში ჩადგომა საკმაოდ რთულ პირობებში მოუხდა, მაგრამ მისი ხედვა გარანტიაა, რომ საქართველოში მმართველობის სრულიად ახალი, ადამიანზე ორიენტირებული სახელმწიფო სისტემა შენდება, ასევე მყარი საფუძველი ეყრება ჯანსაღ და სწრაფად განვითარებად ეკონომიკას.

— როცა ქვეყნის ორი უმაღლესი პირი — პრეზიდენტი და პრემიერი ერთმანეთს, რბილად რომ ვთქვათ, ეკინკლავება, ეს რისი მომასწავებელია? სხვათა შორის, ამას წინათ, პრეზიდენტის მორალური საკითხი დასვით, რატომ?

— საგანგაშო და არაჯანსაღი სწორედ ისაა, როცა პრეზიდენტს, პრემიერს, პარლამენტს, მინისტრებს ანუ ყველას ერთი აზრი აქვს. ეს პერიოდი ქვეყანამ სააკაშვილის პრეზიდენტობისას გამოიარა — რასაც სააკაშვილი იტყოდა, პარლამენტი ნოტარიუსივით უდასტურებდა და ნებისმიერი მოხელეც, რეგიონიდან დაწყებული, უმაღლესი პოლიტიკური თანამდებობის პირით დამთავრებული, ერთსა და იმავე ტექსტით ლაპარაკობდა. ჩვენი ძალა სწორედ განსხვავებულ აზროვნებაშია. ყველას მიზანი ერთია: სახელმწიფოს გაძლიერება და არა ვიღაცის კონკრეტული პარტიული თუ საკუთარი, პრაგმატული ინტერესები.

რაც შეეხება კითხვას, აზრთა სხვადასხვაობას ვერ ვხედავ. უბრალოდ, როცა ჩვენი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი წინასაარჩევნო კამპანიას ატარებდა, რომ სააკაშვილის რეჟიმის სიმბოლოში — ავლაბრის სასახლეში არ შევიდოდა. იმ გუნდის პოზიციაც, ვისზე დაყრდნობითაც პრეზიდენტი გახდა, ასეთი იყო, მაგრამ პოზიცია შეიცვალა და გაუგებარია, შეცვლილი პოზიცია პრეზიდენტის ინსტიტუტის დაცვის სინონიმი რატომაა? ეს აბსოლუტურად რიგითი, თუმცა პრინციპული საკითხია?! დიახ, ვთვლი, რომ ბატონ პრეზიდენტს აქვს დიდი მორალური პასუხისმგებლობა არამხოლოდ იმ პოლიტიკური ძალისადმი, რომელმაც მის გაპრეზიდენტებაზე ძალიან დიდი ადამიანური თუ ფინანსური რესურსი დახარჯა, არამედ დიდი მორალური პასუხისმგებლობა აკისრია იმ თითოეული ამომრჩევლის მიმართაც, რომელმაც ხმა მისცა. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, ეს საკითხი სახელმწიფო ინტერესების შემაფერხებელი არ გახდება და პრეზიდენტი, თავის ადმინისტრაციასთან ერთად, ავლაბრიდან ათონელის რეზიდენციაში გადაინაცვლებს!

— და ბოლოს, ბატონო თემო, არის თუ არა ქვეყანაში სამთავრობო კრიზისი?

— ეს სამთავრობო კრიზისი კი არა, ჯანსაღი და სრულიად გამჭვირვალე პროცესია. ვფიქრობ, ამ კუთხითაც ძალიან კარგი პრაქტიკა ინერგება. ყველაფერზე ამდენი მოთქმა არ შეიძლება, თითქოს ქვეყანა თავზე გვენგრევა... არსებობს მთავრობა, არსებობს გამოწვევები და ქვეყნის აღმშენებლობა უფრო სწრაფი ტემპით რომ გაგრძელდეს, ყველაფერი გადახალისება-ოპტიმიზაციას ექვემდებარება.

ვერსიანიუსი

პოლიციის აკადემიამ და რელიგიის საკითხთა სააგენტომ ურთიერთგაგების მემორანდუმი გააფორმეს

შსს-ს აკადემიის რექტორმა ნუკრი გელაშვილმა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს თავმჯდომარემ, ზაზა ვაშაყმაძემ ურთიერთგაგების მემორანდუმს მოაწერეს ხელი. მემორანდუმის გაფორმებას შსს-ს აკადემიისა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს ხელმძღვანელი პირები და წარმომადგენლები დაესწრნენ.

შსს-ს აკადემიასა და რელიგიის საკითხთა სახელმწიფო სააგენტოს შორის განათლების სფეროში ურთიერთგაგების მემორანდუმის გაფორმება ითვალისწინებს მხარეთა მიერ სასწავლო პროექტების ერთობლივ დაგეგმვასა და განხორციელებას, ასევე ურთიერთდახმარებას სასწავლო პროექტების ფარგლებში. შსს-ს აკადემია, არსებული კანონმდებლობისა და აღნიშნული მემორანდუმით გათვალისწინებული თანამშრომლობის ფარგლებში, გაითვალისწინებს სააგენტოს ინტერესებსა და ინიციატივებს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებასა და განხორციელებაში.

მემორანდუმის გაფორმება მიზნად ისახავს: სტუდენტთა და მსმენელთა პროფესიულ ზრდას და სააგენტოს საქმიანობაში მაღალი აკადემიური სტანდარტების უზრუნველყოფას; ერთობლივი სამეცნიერო და კვლევითი პროექტებისა და პროგრამების, მათ შორის, საერთაშორისო და ადგილობრივი კონფერენციების განხორციელებას საზოგადოების რელიგიური განწყობის შესასწავლად და რელიგიის სფეროში არსებული გამოწვევების დასაძლევად.

„ვერსიანიუსი“

„შპრიცების პროვოკაცია“ რუსთავის №17 ზონაზე

სამი რამ, რის გამოც პატიმრები ყველაფერს კადრულობენ

პატიმარი №0578

სამი რამ არის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ისეთი, რის გამოც, პატიმარმა შეიძლება, ბევრი რამ იკადროს. საუბარია ნარკოტიკზე, ქალსა და... საკვებზე. რატომ საკვები? რატომ და, მას შემდეგ, რაც ხელისუფლებამ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში ე.წ. პერედაჩები აკრძალა, ნორმალური საკვები ყველას ენატრება. ციხეში ნარკოტიკიც ჭირს, უფრო სწორედ, ძალიან ჭირს და მხოლოდ ერთეულები თუ ახერხებენ, უდიდესი რისკის ფასად, ნარკოტიკის შეტანას. ქალი კი... როცა 10 წელი გაქვს მისჯილი, ცოლი არ გყავს, გრძელვადიან პაემანზე რომ შემოვიდეს, ადვილი მისახვედრია, რას გრძნობს პატიმარი. რაღა თქმა უნდა, ყველაფერი ეს ადმინისტრაციამაც კარგად იცის და ხან საკვებით, ხან ქალით და ასე განსაჯეთ, ხანაც ნარკოტიკებით ცდილობს, ესა თუ ის პატიმარი კონტროლის ქვეშ ამყოფოს.

„მაყურებლები გეძახიან, სასწრაფოდ ჩამოვიდესო“, — პატიმარ №0578-ს კამერაში მიაკითხეს. მან ყავის ჭიქა აიღო და მაყურებლების კამერისკენ წავიდა.

„დილა მშვიდობის, პატივცემულო. უკაცრავად, ყავის სმის რიტუალი რომ შეგაწყვეტინეთ, კონიაკი და ვისკი არ გვაქვს, გაგვითავდა და შოკოლადის ფილა ინებეთ“, — ღიმილით უთხრეს მაყურებლებმა და მაგიდაზე შოკოლადი დადეს. №0578-მა შოკოლადს კუთხე წაატეხა, ყავას მიაყოლა და თვალმოჭუტულმა იკითხა: „აბა, რა გაინტერესებთ? რამე უცხო სიტყვას მოჰკარით თვალი გუშინ ტელევიზორში და გაინტერესებთ, რას ნიშნავს თუ წიგნის რომელიმე პერსონაჟზე დავობთ და ვერ გადაწყვიტეთ, მაგალითად, დათა თუთაშხია კაი ბიჭია თუ „ლახმაჩი?“.

„სიტყვაზე თვალის მოკვრა არ გამოვა, ყური უნდა მოჰკრა, ეგ როგორ დაგემართა ამხელა კაცს“, — გაუხარდა მაყურებელს.

„ეგ კი ვიცი, მაგრამ საქმე ისაა, რომ თქვენ გადაცემებს უყურებთ და არ უსმენთ, ვის რა აცვია, ვის ფეხი გამოუჩნდა და ვის მკერდი. ეგ არის მთავარი და მერე აღიდგენთ ხოლმე, რა ილაპარაკეს. ამიტომ გითხარით, თვალი მოჰკარით-თქო. ისე, თუთაშხიაზე შეთანხმდით მართლა?!“ — არ მოეშვა №0578.

„ვერა, ვერ შევთანხმდით. მოკლედ, ასეთი თემაა: ბოლო ერთი კვირაა, ზონის ექიმები შპრიცებს არ უფრთხილდებიან. ხომ გახსოვს, ერთი შპრიცი რომ აიღო პატიმრისთვის, სამი ოფიცერი მოგყვება, ნემსს რომ გაუკეთებ, უკან უნდა ჩააბარო ხელწერილით და რამე... ჰოდა, ბოლო ორი კვირაა, საჩუქრად არიგებენ ამ შპრიცებს, ყურადღებას აღარ აქცევენ, არ აკონტროლებენ და ვერ ვხვდებით, რა ხდება. არადა, რაღაც რომ ხდება, ფაქტია. გადავატრიალეთ ზონა, ჩვენი აზრით, გამორიცხულია, ვინმეს წამალი შემოეტანა. სხვა აზრი არ გვაქვს“, — უთხრა მაყურებელმა.

№0578-მა გაოცებისგან პირი დააღო. გამორიცხული იყო, თითოეული შპრიცი აღრიცხვაზე არ ჰქონოდა ადმინისტრაციას და ისიც გამორიცხული იყო, ექიმებს საკუთარი ინიციატივით მიეღოთ ასეთი გადაწყვეტილება.

„თქვენ თუ გაქვთ შპრიცები, მანახეთ, აბა“, — ბოლომდე მაინც ვერ დაიჯერა №0578-მა. მაყურებელმა ძალიან მშვიდად გამოაღო უჯრა და ათამდე შპრიცი მაგიდაზე დაყარა.

№0578-მა ყავა გადადო და შპრიცებს თვალიერება დაუწყო.

„ყველა რატომ გახსენით, ეს ხომ სტერილურია და შეფუთულიც ამიტომ არის, ცელოფანი ყველას რატომ გაუხიეთ?!“ — იკითხა №0578-მა.

„არა, არ გაგვიხევია, ასეა ყველა, თითქოს გახსნილია, მაგრამ შიგნით უხმარი შპრიცები დევს თითქოს. ყოველ შემთხვევაში, არ ეტყობა, რომ ნახმარია“, — დააზუსტა მაყურებელმა.

„არ ვიცი, რა გითხრათ. მაგალითად, შევარდნაძის დროს რომ ატყდა ამბები, დიფტერიაზე მთელი საქართველო უნდა აიცრასო, მაშინ იყო ასეთი შპრიცები არცთუ იშვიათად და მე იმ აცრისგან ბოტკინი ავიკიდე. არ ვიცი, ეს რა არის, მაგრამ მე თუ აზრს მეკითხებით, არავინ არაფერი იმაიმუნოს ამ შპრიცებით. დაველოდოთ, ეს არ არის რამდენიმე წელზე გათვლილი, ერთ კვირაში გაირკვევა, რა უნდათ“, — თქვა №0578-მა.

„და ვინ რა უნდა იმაიმუნოს, წამალი არ არის-მეთქი ზონაზე“, — მკაცრად თქვა მაყურებელმა.

„ხალხი ისეა დანატრებული წამალს, შეიძლება, ანალგინი და ბარალგინი გაიჩხიროს ვენაში. ვერ გეტყვი, მაგრამ შარში რომ ვართ, ფაქტია. ასე უკონტროლოდ შპრიცები არ დაიყრებოდა“, — ჩუმად ჩაილაპარაკა №0578-მა.

მეორე დილით №0578 ისევ მაყურებლებთან ჩავიდა. მთელი ღამის უძილო რომ იყო, სახეზე ეტყობოდა.

„მოაგროვეთ რაც ზონაზე შპრიცებია და ექიმებს დავუბრუნოთ. სხვა გამოსავალი არ არის. ვერ მივხვდი, რატომ გააკეთეს ეს, მაგრამ იმას მივხვდი, რომ თუ რომელიმეს შპრიცს უნახავენ კამერაში, მაგაზე რასკრუტკაა ანუ სროკს დაუმატებენ. სასწრაფოდ პრაგონი გაატარეთ ზონაზე და ყველამ მოიტანოს შპრიცი და დაბრუნებით, თუ გინდათ, მე დავაბრუნებ. ვიღაცებს წამოიკიდებენ, ასე მგონია“, — უთხრა მაყურებლებს.

ნაშუადღევს მაყურებლების კამერაში ერთი ცელოფანი შპრიცები შეგროვდა. №0578-მა ცელოფანს ხელი მოკიდა და ექიმების ოთახისკენ დაიძრა. ექიმების ოთახში ორი ოფიცერი და სამი ექიმი დახვდა. №0578-მა ცელოფანი მაგიდაზე დადო, სკამზე ჩამოჯდა და ცელოფნიდან შპრიცი ამოიღო. მშვიდად გააშიშვლა ნემსი და თავი წაატეხა, შემდეგ ისევ ბუდეში ჩადო და ახლა მეორე ნემსს წაეტანა. მერე — მესამეს, მეოთხეს და ერთ-ერთმა ოფიცერმა ვეღარ მოითმინა: „რას აკეთებ, თუ საიდუმლო არ არის?!“

„შპრიცებს ნემსს ვუმტვრევ და ისევ უკან ვდებ“, — „განუმარტა“ №0578-მა.

„მაგას ჩვენც ვხედავთ, რატომ აკეთებ, ის თქვი“, — დააზუსტა ოფიცერმა.

„იმიტომ, რომ ბოლო დღეებია, შპრიცები უკონტროლოდ მოძრაობს ზონაზე. მე მოვაგროვე, მოგიტანეთ და ახლა, რომელიმე C-ჰეპატიტიან პატიმარს რომ არ ჰქონდეს რამე ნამაიმუნები, ვამტვრევ, გამოყენება რომ აღარ შეიძლებოდეს და რომელიმე სხვა პატიმარმა შემთხვევით რამე არ აიკიდოს. მარტივია, ხომ?! თან, მგონი, ამას თქვენ უნდა აკეთებდეთ და მე კიდევ აგერ, უხელფასოდ ვმუშაობ თქვენთვის“, — პატიმარმა ეს ისე თქვა, შპრიცების მტვრევა არ შეუწყვეტია.

„კმარა“, — ცელოფანს ხელი დაადო ოფიცერმა, მაგრამ მოხდა ის, რასაც ვერც ექიმები, ვერც გარეთ მდგარი პატიმრები და ვერც ოფიცრები ვერ წარმოიდგენდნენ. №0578-მა ცელოფანს ხელი დაავლო, დაიქნია და შპრიცები ოთახში დაყარა, მერე კი ფეხებით შედგა. ოფიცრები გაგიჟებულ პატიმარს ეცნენ, გარედან მაყურებლები შეცვივდნენ და ატყდა გაწევ-გამოწევა.

„მაყურებლები ოფიცრებთან კაჩაობენო“, — ზონაზე ხმა წამში გავარდა და ათასამდე პატიმარი ექიმების ოთახთან მოგროვდა.

„ყველა შპრიცს ნემსი წაატეხეთ, ისე არ გაატანოთ“, — ბოლო ხმაზე ყვიროდა №0578. ზონაზე რეჟიმი გადმოვიდა, ექიმების ოთახიდან ყველა პატიმარი გაათრიეს, მათ შორის, №0578. უფრო ზუსტად, №0578-ს კარცერისკენ დაუპირეს წაყვანა, მაგრამ გზად მაყურებლები გადაუდგნენ, არ გაგატანთ, თავს შეგაკლავთო და რეჟიმმაც დათმო. ნახევარ საათში ზონა დაწყნარდა. დაწესებულების „ბლატატა“ და №0578 მაყურებლების კამერაში შეიკრიბნენ.

„რა მოხდა, გარეთ არაფერი გვესმოდა, მარტო ის დავინახეთ, შპრიცები რომ დაყარე და გაწევ-გამოწევა ატყდა“, — ჰკითხა მაყურებელმა.

„ვერ გეტყვი, რა მოხდა, მაგრამ ფაქტია, შპრიცების დამტვრევა არ მოეწონათ. ამიტომ გავჭედე და ვცდილობდი, ყველა შპრიცი დამემტვრია. ისე, რომ იცოდე, რამდენიმე შპრიცს ნემსი აკლდა, ნემსი არ იდო შიგნით ანუ ვიღაცამ დაიტოვა კამერაში. მთლიან შპრიცსაც დაიტოვებდა ვინმე და ასე მგონია, სერიოზული „შმონი“ იქნება ამ დღეებში. იმ შპრიცებს იპოვნიან და მერე არ ვიცი, ვისი ინტერესიც ექნებათ, შეიძლება, სროკი დაუმატონ“, — დაასრულა №0578-მა.

ზუსტად მესამე დღეს, ზონაზე დეპარტამენტის სპეცდანიშნულების რაზმი შევიდა და „შმონი“ მოაწყო. შპრიცი 11 კამერაში ნახეს და ამ 11-დან ერთადერთს, კახეთის რეგიონის მაყურებელს დაუმატეს სასჯელი, დანარჩენებს 20-დღიანი კარცერი აკმარეს.

„იცი, რა ვერ გავიგე? კახეთის რეგიონის მაყურებელს 14 წელი ჰქონდა, 3 დაუმატეს და 17 გამოუვიდა. არადა, 4 წელია ზის, მინიმუმ, 10 წელი ჰქონდა დარჩენილი და ხომ არ იცი, მაინცდამაინც იმას რას ერჩოდნენ?!“ — ჰკითხა მაყურებელს №0578-მა.

„ვიცი. მაგ საკანში მაგის დეიდაშვილიც ზის და იმას უნახეს ეს შპრიცი. ამან თავი გაიგიჟა, ჩემიაო. დეიდაშვილი ორ თვეში გადის, იმაზე სროკის დამატება, ხომ ხვდები, რას ნიშნავდა და ამან აიღო საკუთარ თავზე. რაც ვერ გავიგე, ის არის, რომ რატომ დაუჯერეს და რატომ ჩაიყენეს თავი იდიოტურ მდგომარეობაში. არადა, მაგ ბიჭის გაშვება რომ არ უნდათ სვაბოდაზე, რამდენჯერმე მოვკარი ყური და ასე მარტივად დანებდნენ, ვითომ?! არ მჯერა და, მომკალი, რაღაც ხდება და მე ვერ ვხვდები“, — ჩუმად თქვა მაყურებელმა.

რუსთავის №17 ზონაზე მორიგი „შმონი“ ერთ კვირაში ჩატარდა, კახეთის რეგიონის მაყურებლის დეიდაშვილს კამერაში შტირი „უპოვეს“ და იმის მიუხედავად, რომ რეგიონის მაყურებელი ბოლო ხმაზე ყვიროდა, ჩემია, ჩემიო, აღარ დაუჯერეს და მის დეიდაშვილს... ხუთი წელი დაუმატეს.

გამოხმაურება

ღია წერილი ბატონ გრიგოლ ვაშაძეს

უკანასკნელ პერიოდში მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ერთმანეთში აირია ტყუილ-მართალი. სასახლის კოლექტივიც ხან პასუხობდა, ხან უპასუხოდ ტოვებდა მავანთა გამონათქვამებს... ბოლოს, გადავწყვიტეთ ხალხური სიბრძნე მოგვეშველებინა: „ყბედი რამ მოღალა და მუნჯმაო“. უბრალოდ, ჩვენი საქმე გვეკეთებინა სიყვარულით, პასუხისმგებლობითა და ერთგულებით. გაზეთ „ვერსიის“ 20-21 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ ინტერვიუში გაჟღერებულმა თქვენმა გამონათქვამმა დაგვარღვევინა დუმილი. გულწრფელად გეტყვით: თქვენმა პოზიციამ და სასახლისადმი დამოკიდებულებამ კიდეც გაგვაკვირვა და აგვაღელვა (შეგვაშფოთა) კიდეც.

გაგვაკვირვა, რამეთუ თქვენი მენტალიტეტისა და აზროვნების პიროვნებისგან (მით უფრო, დიპლომატიური მოღვაწეობის გამოცდილების გათვალისწინებით) ამდაგვარ გაუმართლებელ, უსაფუძვლო შეფასებას არ ველოდით; ხოლო აღელვება და შეშფოთება იმან განაპირობა, რომ სასახლის მთელი პედაგოგიური კოლექტივი იმგვარ „მოჭიჭყინე“ უგუნურ ადამიანთა ერთობლიობად მოიხსენიეთ, რომელსაც თურმე „მაინც ვერაფერს აუხსნი“.

ჩვენთვის კიდევ უფრო გაუგებარი დარჩა, საერთოდ რისთვის დაგჭირდათ წლების წინანდელი ამბის გახსენება — არც თქვენს ინტერვიუსა და არც ჟურნალისტის შეკითხვაში საამისო მინიშნებაც კი არ ყოფილა, რას შეიძლება მიეწეროს ასეთი მოულოდნელი პასაჟი: რუსეთის მოქალაქეობაზე საუბრისას, მოულოდნელად აცხადებთ: „რაც შეეხება „პიონერთა სასახლესთან“ დაკავშირებულ...“ და ა.შ.

იმავე ინტერვიუში ბრძანეთ: „პროტესტი არც ნინოს წინააღმდეგ იყო მიმართული, არც ბალეტისა და არც — ქორეოგრაფიული სასწავლებლის“. ჩვენ მაშინაც ვამბობდით და ახლაც ვიმეორებთ, რომ დიდ პატივს ვცემთ ქ-ნი ნინოს ხელოვნებას, ვაფასებდით და ვაფასებთ მის შემოქმედებით საქმიანობას, მაგრამ ხუთი ათასი (თუ მეტი არა) მოსწავლისათვის სასახლის „წართმევა“ არანაირი მოტივაციით არ იქნებოდა გამართლებული. არც მაშინ გვესმოდა და ვერც ახლა ვიგებთ, რატომ უნდა გადაკეთებულიყო სასახლე „ჯულიარდის მსგავსი ხელოვნების სკოლად“. ჩამოყალიბებულიყო იგი დამოუკიდებლად, სპეციალურად შექმნილ ბაზაზე, რაც მხოლოდ მისასალმებელი იქნებოდა. თუმცა ეს სულ სხვა თემაა.

დანაშაულად ჩაგვითვალეთ სასახლის შენარჩუნებისთვის გაწეული საქმიანობა და ჩვენი სასახლე „ჭაობად“ მოიხსენიეთ. იმ მძიმე და ტკივილით გასახსენებელ წლებშიც კი არავის უკადრებია, „ჭაობად“ მოეხსენებინა სასახლე, რომელიც შვიდი ათეული წელია, მოზარდების თავისუფალი დროის გონივრულ გამოყენებას, მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესების დაკმაყოფილებას, შემოქმედებითი ნიჭის განვითარების, თავისუფალი სააზროვნო სივრცის შექმნისა და ზნესრული პიროვნების ჩამოყალიბებას ემსახურება, ათასობით მოზარდს იცავს ქუჩის მავნე გავლენისაგან და ეხმარება ცხოვრებაში საკუთარი გზის გაკვალვასა თუ ადგილის დამკვიდრებაში.

არ შეგვიძლია, არ დაგეთანხმოთ: როდესაც ჩვენი ქვეყანა ამდენი გამოწვევის წინაშე დგას, „ერთმანეთთან კინკლაობის დრო არ არის“, არც ვაპირებთ. არც სასახლის მრავალფეროვანი საქმიანობის ასახვას არ ვისახავთ მიზნად, თუმცა სათქმელი ნამდვილად ბევრი გვაქვს. უბრალოდ, ბრძანეთ: „ჩვენი ძალა გულახდილობაშია“ და ჩვენც გულახდილად გვინდა გითხრათ: თუ გაზეთის პირველ გვერდზე გამოტანილი განაცხადი „ვაშაძეს სახელმწიფოს პირველ პირად ამზადებენ“ ნაწილობრივ მაინც შეეფერება სიმართლეს, იქნებ, მომავალი „პირველი პირისთვის“ მართებული და უპრიანი იყოს, მეტი კორექტულობა გამოიჩინოს, დიპლომატისთვის დამახასიათებელი წინდახედულებით გააკეთოს ნებისმიერი განცხადება, რათა იგი შეურაცხმყოფელი არ აღმოჩნდეს სხვათათვის...

თუ სასახლესთან დაკავშირებით „მზიურის“ მართლაც შესანიშნავი, პირველი თაობის მეტი არაფერი გახსოვთ, ეს თქვენი პრობლემაა, ბატონო გრიგოლ, თორემ სასახლეში, იმავე პედაგოგის, გ. ჯაიანის ხელმძღვანელობით, „მზიურელთა“ უკვე მეშვიდე თაობა იზრდება და, გჯერათ ეს თუ არა, არცთუ წარუმატებლად. ამასთან, მხოლოდ ნეგატიური ინფორმაცია თუ არ გაინტერესებთ, იქნებ გამონახოთ დრო და შებრძანდეთ სასახლის ვებგვერდზე, ნახოთ, რამდენი გამორჩეული შემოქმედებითი ნიჭის, სპორტული მონაცემების, გონიერი და მოაზროვნე ახალგაზრდა დადის დღეს სასახლეში, რამდენი საპრიზო ადგილი, ჯილდო და წარმატება მოიპოვეს ჩვენმა აღზრდილებმა მხოლოდ უკანასკნელი წლის განმავლობაში საერთაშორისო კონკურსებში, ოლიმპიადებში, ფესტივალებსა და დათვალიერებებში. (ცნობისათვის — სადღეისოდ სასახლეში მოქმედებს 107 დასახელების 540 წრე, 18 — ქორეოგრაფიული, 12 — ფოლკლორული, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი, 4 თეატრალური კოლექტივი და მრ. სხვა).

ბატონო გრიგოლ, ამ წერილით თქვენს ინტერვიუერს, ბატონ ვანო პავლიაშვილს მივმართავთ — ისარგებლოს თქვენი რჩევით და მართლაც „შემოიხედოს“ სასახლეში, „ნახოს, რა ხდება აქ” და დარწმუნდეს, რომ სასახლის სამასკაციანი კოლექტივი „მოჭიჭყინე“, „ჭაობში“ მოთუხთუხე მასა კი არა, თავისი საქმის მოყვარული და ერთგული ადამიანებისგან შედგება, რომელთა დიდი ნაწილიც ათეული წლებია უშურველად ემსახურება საყვარელ საქმეს.

პატივისცემით, მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის პედაგოგები

1. ᭬ᲐᲝᲑᲘᲡ ᲤᲠᲘᲜᲕᲔᲚᲘ
2. ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲗᲐᲡᲘᲐᲗᲘᲡ ᲠᲝᲚᲔᲑᲘ
3. ᲘᲒᲘᲕᲔ, ᲠᲐᲪ ᲩᲘᲑᲣᲚᲘ
4. ᲬᲝᲜᲘᲡ ᲔᲠᲗᲔᲣᲚᲘ, 1000 ᲙᲒ
5. ᲕᲝᲙᲐᲚᲣᲠᲘᲜᲡᲢᲠᲣᲛᲔᲜᲢᲣᲚᲘ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲘ
6. ᲨᲚᲐᲛᲘᲡ ᲗᲔᲕᲖᲘ
7. ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲨᲨ-ᲨᲘ
8. ᲐᲒᲐᲕᲐᲡᲒᲐᲜ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲐᲡᲛᲔᲚᲘ
9. ᲛᲣᲖᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲛᲫᲦᲝᲚᲘ
10. ᲣᲦᲔᲚᲢᲔᲮᲘᲚᲘ ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲜᲖᲔ
11. ᲡᲐᲙᲣᲠᲝᲠᲢᲝ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ ᲐᲭᲐᲠᲐᲨᲘ
12. ᲛᲮᲐᲢᲕᲐᲠ ᲖᲘᲩᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ
13. ᲛᲐᲙᲔᲓᲝᲜᲘᲣᲠᲘ ᲗᲐᲛᲨᲑᲐᲥᲝ
14. ᲙᲣᲠᲝᲠᲢᲘ ᲑᲐᲦᲚᲓᲐᲗᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ
15. ᲪᲘᲡ ᲦᲛᲔᲠᲗᲘ ᲑᲔᲠᲜᲣᲚ ᲛᲘᲗᲝᲚᲝᲒ.
16. ᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲓᲣᲠᲐ
17. „ᲒᲛᲘᲠᲗᲐ ᲕᲐᲠᲐᲛᲘᲡ“ ᲐᲕᲢᲝᲠᲘ
18. ᲛᲣᲡᲘᲙᲘᲡ ᲟᲐᲜᲠᲘ
19. ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲑᲔᲚᲔᲢᲠᲘᲡᲢᲘ
20. ᲖᲔᲓᲛᲔᲢᲐᲓ ᲛᲐᲠᲘᲚᲘᲐᲜᲘ
21. ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲩᲜᲐᲓᲘ ᲣᲛᲐᲠᲢᲘᲕᲔᲡᲘ ᲪᲘᲚᲐ
22. ᲐᲜᲒᲐᲠᲔᲑᲐ, ᲕᲔᲠᲪᲮᲚᲘᲡ-ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲔᲝᲑᲐ
23. ᲛᲗᲐ ᲙᲣᲜᲫᲣᲚ ᲙᲠᲔᲢᲐᲖᲔ
24. ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲦᲠᲛᲐ ᲦᲠᲛᲣᲚᲘ ᲓᲔᲓᲐᲛᲘᲬᲐᲖᲔ
25. ᲨᲘᲨᲕᲔᲚᲘ ᲡᲮᲔᲣᲚᲘ ᲤᲔᲠᲬᲔᲠᲐᲨᲘ
26. ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲮᲐᲚᲮᲣᲠᲘ ᲪᲔᲙᲕᲐ
27. ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲤᲔᲠᲛᲬᲔᲠᲘ
28. ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ ᲥᲠᲘᲡᲢᲘᲐᲜᲘ ᲓᲔᲓᲝᲤᲐᲚᲝ
29. ᲡᲣᲡᲢᲘ ᲥᲐᲠᲘ, ᲜᲘᲐᲕᲘ
30. ᲨᲐᲛᲘᲐᲜᲘ ᲗᲔᲕᲖᲘ, ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲚᲘᲚᲐᲢᲘᲡᲘ
31. ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲖᲦᲐᲐᲠᲘ
32. ᲘᲜᲒᲚ. ᲢᲐᲡᲢᲘᲡ ᲛᲔᲛᲙᲘᲓᲠᲘᲡ ᲢᲘᲢᲣᲚᲘ
33. ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐ ᲩᲘᲜᲔᲗᲨᲘ
34. ᲛᲡᲮᲑᲠᲘᲕᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲑᲔᲑᲘ
35. ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢ. ᲭᲣᲠᲭᲔᲚᲘ
36. ᲡᲐᲗᲕᲐᲚ. ᲒᲕᲔᲚᲘ
37. ᲫᲕᲔᲚᲔᲑᲣᲠᲘ ᲨᲣᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ
38. ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ ᲐᲠᲡᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲘᲜᲗᲘ
39. ᲰᲝᲚᲘᲕᲣᲓᲘᲡ ᲚᲔᲒᲔᲜᲓᲐ ᲕᲘᲕᲘᲜ ...
40. ᲛᲔᲢᲠᲘᲡ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲘᲡ ᲒᲐᲠᲡᲘᲡ ᲨᲔᲓᲐ ᲨᲠᲔ
41. ᲥᲐᲛᲣᲨᲐᲝᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲘ
42. ᲧᲘᲜᲣᲚᲘ - ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲣᲠᲐᲓ
43. ᲙᲝᲕᲑᲝᲘᲡ ᲥᲐᲛᲐᲜᲓᲘ
44. ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲡᲐᲬᲜᲐᲮᲔᲚᲘ
45. ᲨᲐᲥᲠᲘᲐᲜ ᲬᲧᲐᲚᲨᲘ ᲛᲝᲮᲐᲠᲨᲣᲚᲘ ᲮᲘᲚᲘ
46. ᲘᲐᲞᲝᲜᲣᲠᲘ �თᲔᲐᲢᲠᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲝᲑᲐ
47. ᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲓᲠᲐᲛᲐ-ᲢᲣᲠᲒᲘ
48. ᲔᲑᲠ. ᲠᲔᲞᲐᲢᲠᲘᲐᲪᲘᲐ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲣᲚ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲛᲘ
49. ᲓᲐᲜᲔᲚᲘᲐᲡ ᲤᲘᲚᲛᲘ „... ᲘᲓᲐᲠᲓᲝ!“
50. ᲘᲜᲒᲚ. ᲛᲬᲠᲐᲚᲘ ᲘᲕᲚᲘᲜ ...
51. ᲔᲑᲠᲐᲔᲚᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲠᲘ ᲡᲐᲮᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲐ
52. ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲧᲕᲐᲕᲘᲚᲘ
53. „ᲙᲘᲑᲔᲠ-ᲜᲔᲢᲘᲙᲘᲡ ᲛᲐᲛᲐ“
54. ᲘᲠᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲐᲠᲛᲘᲐ
55. ᲜᲔᲡᲕᲘᲡ ᲮᲔ
56. ᲓᲐᲙᲝᲓᲘᲚᲘ ᲪᲮᲔᲜᲘ
57. ᲗᲐᲕᲐᲨᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲥᲔᲘᲤᲘ, ᲔᲠᲔᲝᲑᲐ
58. ᲫᲕᲔᲚ-ᲑᲔᲠᲫᲜᲣᲚᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ
59. ᲡᲐᲣᲦᲘᲡ ᲐᲠᲐᲑᲔᲗᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘ ...-ᲠᲘᲐᲓᲘ
60. ᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘ
61. ᲤᲐᲨᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲠᲐᲙᲔᲢᲐ

ᲣᲤᲐᲡᲝ ᲰᲐᲠᲘᲙᲖᲔ ᲣᲐᲠᲘ ᲣᲗᲮᲠᲔᲡ

გერმანიის ფედერალურმა სოციალურმა სასამართლომ მელოტ მამაკაცს სარჩელი არ დაუკმაყოფილა, რომელიც სადაზღვევო კომპანიისგან პარიკის ხარჯის ანაზღაურებას მოითხოვდა. მამაკაცმა გამელოტება 80-იან წლებში დაიწყო, კომპანია მას პარკის ხარჯს 2006 წლამდე უნაზღაურებდა, შემდეგ კი უარი განუცხადეს. თანხა, რომელსაც მოსარჩელე სადაზღვევოსგან ითხოვდა, უცნობია. გარდა თმისა, მამაკაცს არც წარბები და წამწამები აქვს. მოსამართლემ, რომელმაც სარჩელი განიხილა, განაცხადა, რომ გამელოტება მამაკაცებში არ არის სამედიცინო მაჩვენებელი და სადაზღვევო ვალდებული არ არის, ხელოვნური თმის ხარჯი აანაზღაუროს.

მწვანე ჩაი კაცებს აჭკვიანებს

სწავლულებმა დაადგინეს, რომ მწვანე ჩაი მამაკაცის გონებრივ შესაძლებლობებს აუმჯობესებს. კვლევაში ძლიერი სქესის 12 წარმომადგენელი მონაწილეობდა, რომელთაც დღეში 2 ფინჯანი მწვანე ჩაი უნდა დაელიათ. აღმოჩნდა, რომ ვინც ამ სასმელს მიირთმევდა, გაუუმჯობესდა მეხსიერება და ინფორმაციის აღქმის უნარი. თუმცა, მწვანე ჩაი დადებითად მხოლოდ მამაკაცებზე არ მოქმედებს და მშვენიერი სქესისთვისაც სასარგებლოა. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ ეს სასმელი, ლიმნითა და თაფლით, ხელს უწყობს მკერდის ზრდას.

ᲛᲝᲛᲐᲒᲐᲚᲨᲘ ᲐᲦᲓᲒᲝᲛᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲘᲗ ᲒᲐᲒᲨᲒᲘ ᲒᲐᲧᲘᲜᲔᲡ

არიზონაში მდებარე კრიოგენული გაყინვის მომსახურების ამერიკული ფონდის Alcor Life Extension ყველაზე პატარა კლიენტი 2 წლის მატერინი გახდა ბანგკოკიდან. მშობლებმა გოგონას გაყინვის გადაწყვეტილება იმ იმედით მიიღეს, რომ თავის ტვინის სიმსივნით დაავადებული პატარა, რომლის გადარჩენის იმედიც აღარ არსებობდა, მომავალში აღდგება. ჯერ კიდევ შარშან გოგონას 11-სანტიმეტრიანი სიმსივნე ამოაჭრეს თავიდან, მაგრამ არც ოპერაციამ და არც ინტენსიურმა თერაპიამ შედეგი არ გამოიღო. პატარას ტვინი უკვე 80%-ით იყო დაზიანებული და აპარატზე იყო მიერთებული. რამდენიმე დღის წინ, როცა მედიკოსებმა განაცხადეს, რომ გოგონას სიცოცხლის არანაირი შანსი აღარ ჰქონდა, მშობლების გადაწყვეტილებით, ის აპარატიდან გამორთეს, სხეული კი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფონდის სპეციალისტებმა გაყინეს.

ᲡᲣᲓᲝᲙᲣ ᲨᲔᲜᲘᲐ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

	2		7			5		
	6							7
				8	5	2		9
			4					5
8	7			9			4	2
3					8			
7		4	3	6				
6							2	
		1			7		6	

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	2				7			
		6						
	5					7	9	1
6				3	8		1	
2			9		5			4
	7		6	4				3
9	3	2					4	
						1		
			5				2	8

ᲠᲗᲣᲚᲘ

					3	8	1	
							9	7
5	9	8		6				
			3				8	1
		4				9		
2	1				5			
				8		7	6	9
9	4							
	2	6	9					

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

9			6				2	1
	3				2	7		
5		4			1			
							9	2
			4		3			
6	7							
			8			4		9
		9	1				6	
2	4				6			7

ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲕᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲢᲠᲘᲞᲢᲘᲖᲘᲝᲠᲔᲑᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲫᲐᲮᲐ

ტაიბეის მკვიდრმა ქალბატონმა გადაწყვიტა, სრულიად განსხვავებულად ჩაეტარებინა მეუღლის დაკრძალვის ცერემონია: იმის ნაცვლად, რომ ეტირა და დამწუხრებული ყოფილიყო, სტრიპტიზიორების ჯგუფი გამოიძახა, გარდაცვლილის კუბოსთან რომ ეცეკვათ. სამგლოვიარო ცერემონიის მონაწილეებს, როგორც ჩანს, მოეწონათ გოგონების ცეცხლოვანი ცეკვა, რადგან გადაღებულ ვიდეოზე კარგად ჩანს, როგორც იგრიხებიან მაქმანებიან საცვლებში გამოწყობილი სტრიპტიზიორები კუბოს გარშემო, დაკრძალვის შოკირებული სტუმრები კი ამ ყველაფერს მობილური ტელეფონით იღებენ. სანახაობის შეწყვეტა ვერავინ გაბედა. გარდაცვლილის ქვრივი კი აცხდებს, რომ მისი ქმარი სიცოცხლეში დიდი პოპულარობით სარგებლობდა ქალებში და სწორედ ამიტომ გადაწყვიტა, მეუღლე უკანასკნელად „გაემხიარულებინა“.

კლიენტების მოსაზიდად კერძს ნარკოტიკს უმატებდა

აშშ-ში, ერთ-ერთი რესტორნის მეპატრონეს კლიენტების მოზიდვის ახალი მეთოდი ძვირი დაუჯდა. იმისთვის, რომ მის დაწესებულებას ხალხი არ მოკლებოდა, კერძში ყაყაჩოს თესლს უმატებდა. სასამართლოზე მან აღიარა, რომ 2 კილოგრამი ყაყაჩოს თესლი 100 დოლარად შეიძინა და ამ ნარკოტიკული საშუალებით კლიენტებს მალულად უმასპინძლდებოდა. საიდუმლო მაშინ გამჟღავნდა, როცა ერთ-ერთ კლიენტს შარდში ოპიუმი აღმოუჩინეს. ახალგაზრდა კაცი ამტკიცებდა, რომ არასოდეს გაუსინჯავს ნარკოტიკი, თუმცა ორი კვირით მაინც დააპატიმრეს. ამ ხნის განმავლობაში მამაკაცი სულ იმაზე ფიქრობდა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მისი დაპატიმრების მიზეზი. ბოლოს გონება გაუნათდა და რესტორანი გაახსენდა, სადაც ბოლოს ივახშმა. მან ოჯახის წევრებს სთხოვა, იმ დაწესებულებაში იგივე კერძი ეჭამათ და მერე ანალიზი გაეკეთებინათ. ექსპერიმენტმა შედეგი გამოიღო. დაკავებული გაათავისუფლეს და ახლა სასჯელს რესტორნის მეპატრონე იხდის.

კლიენტებს სასტუმროს ლოკვა აუკრძალეს

ბოლივიაში ოტელ პალასიო-დელ-სალის კლიენტების ცნობისმოყვარეობას, შეამოწმონ, მართლაც მარილისგანაა აშენებული თუ არა, შენობა დანგრევისკენ მიყავს. სწორედ ამიტომ, ყველა ბინადარს კატეგორიულად ეკრძალება კედლების ლოკვა. მარილის სასტუმრო ჯანმრთელობისთვის სასაგებლოდაა აღიარებული და იქაური ჰაერი ფილტვებს ასუფთავებს, ამაღლებს ტონუსს, ორგანიზმი ივსებს მინერალური ნივთიერებების მარაგს. ოტელი სოლარ დე უიუნიში — მსოფლიოს უდიდეს მარილის უდაბნოშია განთავსებული. შენობის ასაშენებლად მხოლოდ ეს „თეთრი სიკვდილი“ გამოიყენეს, მისგანაა გაკეთებული პრაქტიკულად ყველაფერი — ჭერი, იატაკი, კედლები. ავეჯიც კი მარილის პატარა ბლოკებისგანაა შექმნილი. ამ საქმეში 10 ათასი ტონა მარილი დაიხარჯა. დაბინავებულ ტურისტებს, გარდა თავად სასტუმროსი, გასართობად მარილის საბადოების დათვალიერებაც შეუძლიათ და გოლფის თამაშიც, აქვეა ორთქლის აბანოები და საუნა, აუზი ზღვის წყლით და ჯაკუზი.

ᲬᲘᲜᲐ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ
ᲡᲙᲐᲜᲕᲝᲠᲓᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲓᲝᲙᲣᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ

ᲐᲓᲕᲘᲚᲘ

1	2	9	7	3	4	5	8	6
5	6	8	2	1	9	4	3	7
4	3	7	6	8	5	2	1	9
9	1	6	4	2	3	8	7	5
8	7	5	1	9	6	3	4	2
3	4	2	5	7	8	6	9	1
7	9	4	3	6	2	1	5	8
6	8	3	9	5	1	7	2	4
2	5	1	8	4	7	9	6	3

ᲡᲢᲐᲜᲓᲐᲠᲢᲘ

8	2	1	3	9	7	4	6	5
7	9	6	1	5	4	3	8	2
3	5	4	2	8	6	7	9	1
6	4	5	7	3	8	2	1	9
2	8	3	9	1	5	6	7	4
1	7	9	6	4	2	8	5	3
9	3	2	8	7	1	5	4	6
5	6	8	4	2	9	1	3	7
4	1	7	5	6	3	9	2	8

ᲠᲗᲣᲚᲘ

4	7	2	5	9	3	8	1	6
6	3	1	4	2	8	5	9	7
5	9	8	7	6	1	4	3	2
7	6	5	3	4	9	2	8	1
3	8	4	6	1	2	9	7	5
2	1	9	8	7	5	6	4	3
1	5	3	2	8	4	7	6	9
9	4	7	1	5	6	3	2	8
8	2	6	9	3	7	1	5	4

ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲢᲘ

9	8	7	6	5	4	3	2	1
1	3	6	9	8	2	7	5	4
5	2	4	7	3	1	9	8	6
4	1	3	5	7	8	6	9	2
8	9	2	4	6	3	1	7	5
6	7	5	2	1	9	8	4	3
7	6	1	8	2	5	4	3	9
3	5	9	1	4	7	2	6	8
2	4	8	3	9	6	5	1	7

მე-10 გვერდი: 1. ბოსტონი; 2. ობოლი; 3. ტიტიკაკა; 4. ნარი; 5. ალაყაფი; 6. ლირა; 7. ყამარი; 8. ფელინი; 9. პორტერი; 10. სიამისენი; 11. იბისი; 12. ედო; 13. პრომილე; 14. ადიდასი; 15. არგო; 16. ანარა; 17. დუბაი; 18. ანატოლი; 19. ვისკი; 20. ფირმანი; 21. მი; 22. ასტარტე; 23. სვია; 24. ფუფალა; 25. ნადირი; 26. დიოდი; 27. დრაცენა; 28. ფრაკი; 29. ავზი; 30. ფიტული; 31. ფარავანი; 32. „კიკა“; 33. ტორერო; 34. მასა; 35. ტერაკოტა; 36. ალამი; 37. რიფი; 38. პარასოლი; 39. რეი; 40. ისარი; 41. იაკუძა; 42. ვილა; 43. მესა; 44. კია; 45. ნო; 46. არუე; 47. სეკირა; 48. კირილიცა; 49. რერო; 50. ეფა; 51. ტოსტი; 52. აია; 53. სიძე; 54. ამასია; 55. რამინი; 56. ინია; 57. პა; 58. ბოუი; 59. ბაო; 60. ინოზიტი.

მე-12 გვერდი: 1. გულანშარო; 2. კოსმოსი; 3. გემბლინგი; 4. ლედი; 5. ნესი; 6. ობლიგაცია; 7. მიკოლოგია; 8. სელი; 9. ალა; 10. ავიეტი; 11. სოდომი; 12. ლეკალო; 13. ინანთეული; 14. სკაპენი; 15. ესე; 16. არენდა; 17. კანო; 18. ონისე; 19. გოლი; 20. ტრევი; 21. პონი; 22. გეენა; 23. ციგა; 24. ტილ; 25. „რაშოვდა“; 26. აგავა; 27. ნოე; 28. „ლაკმე“; 29. ირანი; 30. რიგა; 31. შვაინშტაიგერი; 32. იგლუ; 33. ლედერინი; 34. მანტისა; 35. როტვეილერი; 36. ნისია; 37. ნიანგი; 38. სია; 39. იპოთეკა; 40. ანა; 41. ისრაელი; 42. სპიდვეი; 43. არაუკარია; 44. რაიკონენი; 45. ნაი; 46. ეშერა; 47. რარიტეტი; 48. არენა; 49. ერი; 50. ეა; 51. ოთარ; 52. ვალაბი; 53. ანტრე; 54. სირ; 55. პრაია; 56. რეა; 57. ისტორია; 58. აკინი; 59. ვილია; 60. ჰიგიენა; 61. ბუკე; 62. ნალია; 63. გინეა; 64. ტავრიდა; 65. ბაია; 66. კოროლა; 67. ალდე; 68. ედა; 69. ვანგა; 70. ბუა; 71. უშუ; 72. ინა; 73. იბნ; 74. ტუ; 75. ფრე; 76. ონი; 77. რუტინა; 78. ამია; 79. იაკი; 80. კუ; 81. იაგდტაში; 82. აიდაჰო; 83. და; 84. აბედი.



1.განმარტება ძირითადი ტექსტის ქვეშ
2. სპარსეთის მეფე
3. პრესტიჟული კონკურსის გამარჯვებული
4. დაუმუშავებელი ბრილიანტი
5.იესოს მიერ გა-ცოცხლებული ადამიანი
6. სახელმწიფო ევრო-პაში
7. რვა მუსიკოსისგან შედგენილი ანსამბლი
8. იტალიური დესერტი
9. სასულთნო აზიაში
10. ხის ქოჩორის, ვარჯი
11. ნიმფა კალიფსოს კუნძული
12. ბავშვის მოსანათლავი საეკლესიო ჭურჭელი
13. ინდოეთის დედაქალაქი
14. საგანთა ნუსხა
15. რომის ერთ-ერთი იმპერატორი
16.პროფესიონალი ტყის მცველი
17.ბასკეთის უდიდესი ქალაქი
18. შლამის თევზი
19.უმცირესი ორნიშნა რიცხვი
20. მიწაში ამოთხრილი ადგილი
21.ბერლინის საფეხბურთო კლუბი
22. მღვდლის ცოლი
23. ნაყინ-შერეული რძიანი ყავა
24. მათემატიკის ნაწილი
25. ფსიქოანალიზის ფუძემდებელი
26. ამერიკელი კინორეჟისორი
27. დგამი, ჰორიზონტალური ფიცრით და ფეხებით
28.საშინაოდ, შილიფად ჩაცმული
29. მიმდინარეობა ფერწერაში
30. ჩინელ კომუნისტთა ბელადი
31.რკინიგზის ლიანდაგის შემადგენელი ნაწილი
32.ხელფასის ნაწილი, გაცემული წინასწარ
33. რაიმე საქმის დოკუმენტთა ერთობლიობა
34.საიზოლაციო მასალა
35.აშშ-ის კოსმ. სააგენტო
36. ხმლის ტარი
37. სახოტბო ლექსი
38. მცვალებულზე გადასაფარებელი ქსოვილი
39. დაცლილი ვაზნა
40.შიშველი სხეული ფერწერაში
41. დილის ჰანგი ტრუბადურთა პოეზიაში
42. საზღვაო მოგზაურობა
43. პარტიზანული ომის სახელწოდება ესპანეთში
44. საფქვილე ყუთი წისქვილში
45.ჯუზეპე ვერდის ოპერა
46. ბუდისტური საკულტო ნაგებობა
47. კეთილშობილი ლითონი
48.ფულის გამოძალვა მუქარით
49. გერმანელი კომპოზიტორი
50. ფრანგული ყურძნის ჯიში
51. მობილური ტელეფონის მარკა
52. ბუდას დედის სახელი
53. მთა თბილისში
54. გრძელკისერა ცხოველი
55. თუთიყუშის ჯიში
56. მთა წალკის რაიონში
57.ხალხში გამოუსვლელი, გამოუცდელი
58. იგივეა, რაც ბატკანი
59. პარაგვაის ჩაი
60.პეტრარკას სატრფო
61. მხარე, მიდამო
62. თბილისის უბანი
63. (ძვ.) ღამის დარაჯი, გუშაგი
64. ქართული ტელეარხი
65.საწერი ქაღალდის საზომი ერთეული
66.შაქრის ლერწმის ჭრა კუბაში
67. მიმართვა ფრანგი მეფისადმი
68. ზრდილობიანი მიმართვა პოლონელი მამაკაცისადმი
69. დაქირავებული მკვლელი
70. გასეირნება ბავშვის ენაზე
71. მომღერალი ... ბურჭულაძე
72.საჭურისი „სიბრძნე სიცრუისა“-ში
73.„ყველაფრის მკურნალი“
74.წამლის ბურთულა
75.ქართული მითოლოგიის ღვთაება;
76. უბედურების საერთაშორისო სიგნალი
77. მდინარე-ესპანურად
78. პუერეულის ნამჯის ნალეწი
79.ჩრდილო კავკასიის მთიელთა სოფელი
80.ლაბორატორიული ჭურჭელი
81. გათავისუფლებული ყმა
82. პოეტური გამოცანა
83. შვედური ავტომარკა
84.პატარა ღრმული სხეულზე
85.ქოქოსის კაკლის გული

უნაყოფობის გენი აღმოაჩინეს

ფრანგი მეცნიერების ჯგუფმა აღმოაჩინა გენი DPY19L2, რომელიც მამაკაცებში ერთ-ერთი სახის უნაყოფობის მიზეზია. სწორედ ეს გენი, მკვლევართა მტკიცებით, ასრულებს მნიშვნელოვან როლს სპერმატოგენეზის პროცესში. სწავლულებმა ამ გენის ჩანართები აღმოაჩინეს იმ ადამიანთა დნმ-ში, ვისაც უნაყოფობის ეს ფორმა სჭირდა. დადგინდა, რომ ასეთი პაციენტების 75%-ში დნმ-ის გენეტიკური მასალის, სულ ერთი გენის DPY19L2 დანაკარგი ხდება. ეს აღმოჩენა მეცნიერებს დაეხმარება მამაკაცებისთვის ახალი, არაჰორმონალური, ჩასახვის საწინააღდეგო საშუალებები დაამზადონ და ამ პრობლემის მოგვარებაზეც განაგრძონ მუშაობა.

ვერსია

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მერაბ ბერიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.